48
1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტიანული
ინსტიტუტის
ჟურნალი
№1-6

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

48
1963

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

6

ივნისი

თბილისი — 1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VI-63 წელი. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,5.

ფასი 10 კაპ.

შეკვ. № 601. ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография Министерства просвещения Грузинской ССР
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 10 მაისის ბრძანება № 361

ახალციხის, საჩხერის, ზუგდიდის, ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონებში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებითა და წარმოდგენილი მასალების მიხედვით დადასტურდა, რომ მშრომელთა დეპუტატების ახალციხისა და ზუგდიდის რაისაბჭოებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები დამაკმაყოფილებლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. პატრონირების, მეურვეობისა და გაშვილების საკითხებზე ამ რაიონებში განათლების განყოფილებებს (გამგეები ბ. ახვლედიანი, მ. ნარმანია) გაპიროვნებული ჰყავთ სასკოლო ინსპექტორები (გ. კალაიჯევი, კ. ქარჩავა); წარმოებს პატრონირებულ და მეურვეობაში მყოფ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების გულდასმით შესწავლა; შემოღებულია სააღრიცხვო ჟურნალები; ოჯახებში მოწყობილ ბავშვებზე შედგენილია პირადი საქმეები, რომელშიაც დაცულია ყველა საჭირო საბუთი; პატრონატზე აყვანილ ბავშვებს დროულად ეძლევათ დახმარება; მეურვეობის საკითხები განხილულია სახალხო განათლების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე და სხვა.

ამავე დროს საჩხერის, ზუგდიდის, ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

საჩხერის, ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონების განათლების განყოფილებებს არ აქვთ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ზუსტი მასალები; ნაკლები ყურადღება ექცევა მათი საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლას; მოუწესრიგებელია ბავშვების კუთვნილი ქონების დაცვის საქმე. ადგილებზე არ აქვთ ქონების აღწერილობა და ქონების დაცვის შენახვაზე პასუხისმგებელ პირთა სია; არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ მოქმედებათა აღმოსაფხვრელად არ ტარდება საჭირო ღო-

ნისძიებები; სუსტია კომისიების კავშირი მშობლებთან; ნაკლები ყურადღება ექცევა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა გამოვლინებასა და მათთვის დახმარების დანიშვნის საქმეს; არ ხდება პატრონატისათვის გათვალისწინებული თანხების სრულად ათვისება, მაგალითად, ქ.თბილისის 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილებას გეგმით პატრონატზე უნდა აეყვანა 20 ბავშვი, ფაქტიურად აყვანილი ჰყავთ მხოლოდ 4 ბავშვი; ასაკის შესრულების გამო 1963 წელს ამავე რაიონში აღრიცხვიდან მოხსნილია 25 ბავშვი, ხოლო ოქტომბრის რაიონში 9 ბავშვი, მაგრამ არავინ იზრუნა მათი სამუშაოზე მოწყობისათვის და ცნობილი არ არის სად იმყოფებიან ეს ბავშვები.

საჩხერის, ქ. თბილისის ოქტომბრისა და 26 კომისრის რაიონების განათლების განყოფილებები სკოლების საინსპექტორო შემოწმების დროს ყურადღებას არ აქცევენ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მდგომარეობის შესწავლას, ხოლო სკოლების დირექტორები პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ საქმეს. არ იხილავენ საკითხს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. საჩხერის, ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონებში განათლების განყოფილებების მიერ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობის შესახებ საკითხი არ არის განხილული სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონის ტერიტორიაზე უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვები და მიიღონ ზომები საათანადო წესის მიხედვით მათ მოსაწყობად;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ადგილებზე პატრონირებული, მეურვეობაზე მყოფი და გაშვილებული ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები, გააფორმონ სათანადო აქტები და შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად განახორციელონ ქმედითი ზომები.

გ) მეურვეობა, პატრონატი და გაშვილება გააფორმონ თანახმად არსებული ინსტრუქციისა, ზუსტად აღრიცხონ ყველა ბავშვის კუთვნილი ქონება და დაიცვან იგი დაკარგვა-დატაცებისაგან.

დ) არ დაუშვან ბავშვთა დახმარებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების აუთვისებლობა და არსებული წესის მიხედვით დაუგვიანებლივ გასცენ ბავშვებზე დახმარებები;

ე) მშრომელთა ოჯახებში გადაცემული ბავშვები ასაკის შესრულების დროს მოხსნან აღრიცხვიდან და არ დაუშვან აღრიცხვი-

დან მოხსნის შემდეგ მათი სამუშაოზე მოუწყობლობა; სამუშაოზე მოწყობილ მოზარდებზე იქონიონ ზუსტი ცნობები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) სკოლის დირექტორების საშუალებით შეადგინონ ცნობები მშობელთა მზრუნველობის გარეშე, უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვებისა და ხელმოკლე ოჯახის შვილების შესახებ და იზრუნონ სკოლა-ინტერნატებსა, საბავშვო სახლებსა და მშრომელთა ოჯახებში მათი მოწყობისათვის.

2. აღინიშნოს ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების სუსტი მუშაობა უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისა და მოწყობის საქმეში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 14 მაისის ბრძანება № 382

ზესტაფონისა და მახარაძის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ზესტაფონისა და მახარაძის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების მასწავლებელთა ერთ ნაწილს სათანადოდ აქვს შეგნებული ამ ტიპის სკოლების წინაშე დასახული სადღეისო ამოცანები. წარმოებიდან მოუწყვეტლივ მოზარდი ახალგაზრდობის სწავლების საქმეში ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან მასწავლებლები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში —ა. ბოგვერაძე (ზესტაფონის რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში—ა. შაქარაშვილი (მახარაძის რაიონის ერკეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა), გეოგრაფიაში—რ. ჯინჭარაძე (იგივე სკოლა), მათემატიკაში—ნ. დარჩია და გ. რუსიძე (მახარაძის რაიონის ახალ-სოფლის საღამოს საშუალო სკოლა) ლ. სულამანიძე (ზესტაფონის რაიონის ჩხარის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და სხვა.

მიუხედავად ამისა, დასახელებული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი.

დაბალ დონეზე დგას რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება ზესტაფონის რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ი. გვენეტაძე). მოსწავლეები სუსტად ერკვევიან პროგრამულ მასალაში. მასწავლებელი ი. გვენეტაძე შეუმჩნევლად ტოვებს საკონტროლო წერით ნამუშევრებში დაშვებულ მრავალ უხეშ შეცდომას და ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა ცოდნას.

ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე მათემატიკაში ზესტაფონის რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში.

ამ სკოლაში მათემატიკაში მუშაობენ ახალგაზრდა, დამწყები მასწავლებლები ლ. ხვარეშია და ლ. ლანჩავა, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ამ საგნებს. VII კლასის (მასწავლებელი ლ. ხვარეშია) მოსწავლეებმა ვერ ამოხსნეს მარტივი მაგალითი განტოლებაზე. ამ კლასის დაბალი მომზადების ძირითადი მიზეზია ხანგრძლივი წყვეტა სწავლაში და მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების ხშირი გაცდენა.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ სკოლის X და XI კლასებში. შემოწმების დღეს X კლასის (მასწავლებელი მ. ლანჩავა) არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა გაკვეთილი ტრიგონომეტრიაში.

ზესტაფონის რაიონის ჩხარის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VI—VII კლასებში გეოგრაფიას ასწავლის მასწავლებელი ვ. კაჭკაჭოვა, რომელიც არ არის გარკვეული ამ ტიპის სკოლების მუშაობის თავისებურებაში. მან მთელი გაკვეთილი მოანდომა წინა მასალის გამოკითხვას, არ ახსნა ახალი მასალა, თუმცა იგი გათვალისწინებული ჰქონდა გაკვეთილის გეგმით.

ზესტაფონის რაიონის ჩხარის (დირექტორი ნ. დიაკონიძე), აჯამეთის (დირექტორი ო. ხოხიაშვილი), მახარაძის რაიონის ახალსოფლის (დირექტორი ო. ნინიძე) და ერკეთის (დირექტორი შ. კუტუბიძე) სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში კლასები დაუტვირთავია, და ეს მაშინ, როდესაც ზესტაფონის რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სამოქმედო რაიონში აღრიცხულია სწავლებაში ჩაუბმელი 100 ახალგაზრდა, მახარაძის რაიონის ახალსოფლის საღამოს სკოლაში 40 ახალგაზრდა და ა. შ.

სკოლების ხელმძღვანელები არ იბრძვიან სწავლებაში ისედაც მცირე რაოდენობით ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის, მაგალითად, ზესტაფონის რაიონის ჩხარის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის 101 მოსწავლიდან შემოწმების დროისათვის—1963 წლის 18 მარტისათვის დარჩა 81 მოსწავლე. ზესტაფონის რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლას ჩამოსცილდა 15 მოსწავლე, მახარაძის რაიონის ერკეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლას 19 და ა. შ.

სკოლების ხელმძღვანელებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს საქმიანი კავშირი არა აქვთ დამყარებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან. ამის გამო აღნიშნული რაიონების სოფლის ახალგაზრდო-

ბის სკოლებში წარმატებით მოსწავლე ახალგაზრდები დღემდე არ სარგებლობენ კანონით დაწესებული შეღავათებით.

მოუგვარებელია ტრანსპორტით მოსწავლეთა მომსახურების საქმე ჩხარის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში. სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლაში დადის შორეული სოფლებიდან, რის გამო მათი საგრძნობი ნაწილი იგვიანებს, ან სრულებით არ ცხადდება გაკვეთილებზე; ასე მაგალითად, ზესტაფონის რაიონის ჩხარის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VI კლასის 19 მოსწავლიდან შემოწმების დროს სკოლაში გამოცხადდა მხოლოდ 7, VIII კლასის 21 მოსწავლიდან 8, ამავე რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის VI კლასის 9 მოსწავლიდან 1-ლ გაკვეთილზე გამოცხადდა მხოლოდ 1 მოსწავლე. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მახარაძის რაიონის ერკეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში.

ზესტაფონის რაიონის ჩხარის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში არადამაკმაყოფილებელია პედსაბჭოს მუშაობა: სხდომები ჩატარებულია მცირე რაოდენობით, საკითხები საკმაო სიღრმით არ იხილება, დასახული ღონისძიებანი მდარე და არამოქმედია, საოქმე წიგნი ზონარგაუყრელი და შეუმოწმებელია.

სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი; ასე მაგალითად, მახარაძის რაიონის ერკეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ცხრილში ადგილი აქვს ერთი ტიპის საგნების თანმიყოლებით შეტანას და ძნელად ასათვისებელი საგნების ერთ დღეს გათვალისწინებას.

მახარაძის რაიონის ერკეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმა ზოგადია და გადატვირთულია საორგანიზაციო საკითხებით. მასში დაშვებულია ენობრივი და სტილისტიკური ხასიათის შეცდომები.

არადამაკმაყოფილებელია კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა. მახარაძის რაიონის ერკეთისა და ზესტაფონის რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში მოსწავლეთა პირადი საქმეები მოუგვარებელია.

ერკეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩარიცხულია საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესების უხეში დარღვევით: ერკეთის მასობრივი საშუალო სკოლის მეხუთე კლასში დატოვებული მოსწავლეები დირექტორ შ. კუტუბიძეს ჩაურიცხავს მეექვსე კლასში.

აჯამეთისა და ერკეთის სკოლებში მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტაცია. საშუალო განათლების ატესტატისა და 7 კლასის დამთავრების მოწმობების აღრიცხვა წარმოებს უბრალო რვეულებში, რომლებიც არაა დალუქული და შემოწმებული განათლების განყოფილებების მიერ; უფრო მეტიც, ამ რვეულებში არაა ჩაწერილი ნიშნები. ერკეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს შ. კუტუბიძეს აღმოაჩნდა სიმწიფის ატესტატის ორი შეუვსებელი ბლანკი.

1960/61 სასწავლო წელს აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის 9 მოსწავლეს დაუმთავრებია 7 კლასი. მოწმობები მიუღია თითქმის ყველას, ხელი კი არც ერთ მოსწავლეს არა აქვს მოწერილი მიღებაზე. 1961/62 სასწავლო წელს იგივე საშუალო სკოლა დაუმთავრებია 7 მოსწავლეს, აქედან 4 მოსწავლეზე გაცემული ატესტატის ნომერი ჩაწერილია უბრალო რვეულში, დანარჩენ 3 მოსწავლეზე გაცემული ატესტატების ნომრები კი სრულიად არაა ჩაწერილი და არც ერთ მოსწავლეს, გარდა ერთისა, აგრეთვე არა აქვს ხელმოწერა ატესტატის მიღებაზე.

ზესტაფონისა და მახარაძის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში არსებული ზემოხსენებული და სხვა ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები არასაკმაო დახმარებასა და კონტროლს ახორციელებენ ამ სკოლებისადმი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მახარაძისა და ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ხ. ხავთასმა და გ. კიკნაძემ) გააძლიერონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა; მომავალში სისტემატურად შეისწავლონ ამ ტიპის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში გახადონ იგი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და სახალხო განათლების საბჭოების მსჯელობის საგნად.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) სათანადო მუშაობა გაშალონ ადგილობრივ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად წარმოებაში მომუშავე საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად და 1963/64 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად;

ბ) ქმედითი ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელონ მასწავლებელთა მუშაობაზე. გაკვეთილების სისტემატური

მოსმენით და შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით უზრუნველყონ ცალკეული საგნების სწავლების არსებითად გაუმჯობესება;

გ) პედაგოგიური საბჭოების მუშაობა წარმართონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების სრული შესაბამისობით; ახალი სასწავლო წლიდან გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ-მეთოდურ მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით;

დ) აღმოფხვრან გაკვეთილებზე მოსწავლეთა არასაპატიო მიზეზით გაცდენა-დაგვიანების შემთხვევები;

ე) დააყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობის ავტომანქანებით გადაყვანის საკითხის მოწესრიგების შესახებ;

ვ) წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან მტკიცე, საქმიანი კავშირის დამყარებით უზრუნველყონ სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცება;

ზ) მეტი ყურადღება მიაქციონ აღნიშნული ტიპის სკოლების საკუთარი კაბინეტ-ლაბორატორიებით და სასკოლო ბიბლიოთეკებით უზრუნველყოფისა და მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სარგებლობის საკითხების მოგვარებას;

თ) საგაზაფხულო გამოცდების დაწყებამდე წესრიგში მოიყვანონ ყველა სასკოლო დოკუმენტი.

3. მასწავლებლებმა ყოველდღიურად სრულყონ თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაცია, პრაქტიკული საქმიანობა, გაითვალისწინონ ამ სკოლების მუშაობის სპეციფიკა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლებაში თვალსაჩინოების დანერგვას, მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის შეგნებულად ათვისებას და მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცედ დაუფლებას.

4. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო ზესტაფონის რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს ი. გვენეტაძეს, მათემატიკის მასწავლებლებს ლ. ხვარეშიას, მ. ლანჩავას და ჩხარის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს ვ. კაჭკაჭოვას მიეთითოთ.

5. ზესტაფონის რაიონის აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ო. ხოხიაშვილს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობის გამო გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. მახარაძის რაიონის ერკეთის სოფლის ახალგაზრდობის

საშუალო სკოლის დირექტორი შ. კუტუბიძე სკოლის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დამახინჯების გამო მოიხსნას სამუშაოდან.

7. მახარაძისა და ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ხ. ხავთასმა და გ. კიკნაძემ) შეისწავლონ ერკეთის და აჯამეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საშუალო განათლების ატესტატების, რვაწლიანი განათლების მოწმობების შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის მდგომარეობა და შედეგი აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 1-ლ ივლისამდე.

8. ეს ბრძანება პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განსახილველად და სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად დაეგზავნოთ მახარაძისა და ზესტაფონის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 15 მაისის ბრძანება № 389

ვ. და თ. კაკოიშვილების მამხილებელი წერილის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოვიდა ვ. და თ. კაკოიშვილების მამხილებელი წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ზაალ სუხიტაშვილს მიღებული აქვს ქ. ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის პირველი საშუალო სკოლის IX კლასის დამთავრების აკადემიური წარმატების ყალბი მოწმობა, რომლითაც იგი ჩაირიცხა ყვარლის რაიონის ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის X კლასში. 1962 წელს მან დაამთავრა ამ სკოლის სრული კურსი და მიიღო სიმწიფის ატესტატი.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ზ. სუხიტაშვილი 1956—1957 სასწავლო წლის IV მეოთხედამდე სწავლობდა ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის I საშუალო სკოლის IX კლასში, სადაც შეფასებული ყოფილა II და III მეოთხედებში, ამავე დროს III მეოთხედში მას შვიდ საგანში ჰქონდა ნიშანი „2“.

მიუხედავად ამისა, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ვ. თურმანიძემ და მასწავლებელმა შ. ბერძულიშვილმა თვითნებურად გამოუყვანეს მას I მეოთხედის შეფასებანი, ხელოვნურად აუწიეს III მეოთხედის ნიშნებიც და გასცეს სამი მეოთხედის შეფასებით დაუხურავი აკადემიური წარმატების ფურცელი, რომელშიც შემდგომში ზ. სუხიტაშვილის მიერ შეტანილ იქნა IV მეოთხედის ნიშნები, წლიური შეფასება და პედსაბჭოს დადგენილება X კლასში მისი გადაყვანის შესახებ. ამ ყალბ საბუთს სკოლის ყოფილმა დირექტორმა ი. მერკვილაძემ შეუმოწმებლად დაუსვა ბეჭედი. ამ საქმეში დანაშაული მიუძღვის აგრეთვე მამხილებელი წერილის ავტორს ვ. კაკოიშვილს, რომელმაც იცოდა აკადემიური წარმატების ყალბი მოწმობის გაცემის ფაქტი და ამის შესახებ დროულად არ აცნობა სათანადო ორგანოებს.

პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს დ. ბიკაშვილს, რომელმაც ზ. სუხიტაშვილი მისდამი რწმუნებულ სკოლაში მიიღო IX კლასის დამთავრების ყალბი მოწმობის საფუძველზე და არ გამოითხოვა მოსწავლის პირადი საქმე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე ზ. სუხიტაშვილს, რომელიც ნამდვილად იყო მუშა ახალგაზრდობის 10-წლიანი სკოლის IX კლასის მოსწავლე, უფლება ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა სოფლის ახალგაზრდობის 11-წლიანი სკოლის X კლასში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის I საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ვ. თურმანიძეს და მასწავლებელ ბერძულიშვილს, რომლებმაც გამოიჩინეს უპასუხისმგებლობა და ზ. სუხიტაშვილს თვითნებურად გამოუყვანეს I მეოთხედის ნიშნები, აგრეთვე ხელოვნურად აუწიეს III მეოთხედის შეფასებაც, გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

2. დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, ყვარლის რაიონის ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს დ. ბიკაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

3. წერილის ავტორს—მასწავლებელ ვ. კაკოიშვილს, რომელმაც გამოიჩინა პედაგოგისათვის შეუფერებელი საქციელი, დროულად არ აცნობა სკოლაში ჩადენილი სიყალბის შესახებ სათანადო ორგანოებს, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

4. ქ. ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ყოფილ დირექტორს ი. მერკვილაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

5. ეთხოვოს ქ. ზესტაფონის სამრეწველო საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. თ. კაპანაძეს განიხილოს აკადემიური წარმატების ყალბი მოწმობის შექმნასა და გაცემაში დამნაშავე კომუნისტების ი. მერკვილაძის, თ. თურმანიძისა და შ. ბერძულიშვილის პარტიულობის საკითხი.

6. ეთხოვოს ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. პ. სახეჩიძეს, განიხილოს სოფელ ზედა ინების დაწყებითი სკოლის მასწავლებლის კომუნისტ ვ. კაკოიშვილის პარტიულობის საკითხი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო.

7. ეთხოვოს ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა

მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. გ. ზაუტაშვილს, განიხილოს კომუნისტ დ. ბიკაშვილისა და ზ. სუხიტაშვილის პარტიულობის საკითხი, რომლებმაც ჩაიდინეს კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 12 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა:
საქართველოს სსრ კულტურის
სამინისტროს კინოფიკაციის
მთავარ სამმართველოსთან;

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ
მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ
გაერთიანება „საქსოფლტექნიკას"-თან;

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის
სამინისტროს მილიციის სამმართველოს
„სახავტოინსპექციას"-თან.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ
მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური
განათლების კომიტეტთან.

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე ი. ბეროზაშვილი
1963 წლის 24 აპრილი

ინსტრუქცია

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ საწარმოოსწავლებიან სკოლებში გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესის შესახებ

1. საერთო დებულებანი

1. საწარმოო სწავლების სრული კურსის დამთავრების შემდეგ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლების XI კლასის მოსწავლეები აბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, რომელთა მიზანია მოსწავლეთა მიერ მიღებული სპეციალობით საწარმოში დამოუკიდებელი მუშაობისათვის მომზადებისა და მათთვის სატარიფო თანრიგების, კლასების დადგენა.

2. გამოსაშვებ საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს სწავლა და პროფესიული მომზადების სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში მიიღეს დადებითი შეფასება.

3. გამოსაშვებ საკვალიფიკაციო გამოცდაში შედის: მოსწავლეთა მიერ საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოების შესრულება და ზეპირი გამოცდა სპეციალობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც არ შეიძლება სასინჯი სამუშაოების ჩატარება, მოსწავლეთა კვალიფიკაცია განისაზღვრება მათი მომზადების შემოწმებით უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. შემოწმება ტარდება იმ წესით, რომელიც დადგენილია მოცემული საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის შესაბამის მუშაკთათვის.

2. მზადება გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის

4. პროფესიული მომზადების სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თითოეული საგნის შესწავლის დამთავრებისას მოსწავლეებს დაეწერებათ ჩათვლის შეფასება იმის მიხედვით, თუ როგორ ცოდნას იჩენენ ზეპირი შემოწმებისას და როგორ ასრულებდნენ პრაქტიკულ სამუშაოებს მოცემული საგნის შესწავლის დროს.

5. მოსწავლეები, რომლებიც არადამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებენ პროფესიული მომზადების ცალკეულ საგნებში, დაიშვებიან განმეორებით შემოწმებაზე ამ საგნებში; შემოწმება ჩატარდება მასწავლებლის მიერ სპეციალურად დანიშნულ დროს, გამოსაშვებ საკვალიფიკაციო გამოცდებამდე.

6. გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე მოსწავლეები უნდა გაეცნონ საგამოცდო კითხვებს და საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოების ხასიათს.

7. საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოების შინაარსს თითოეული სპეციალობისათვის განსაზღვრავენ ის სკოლები, საწარმოები, მშენებლობები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა ორგანიზაციები, სადაც მოსწავლეები გადიოდნენ საწარმოო სწავლებას.

კითხვებს მოსწავლეთა ცოდნის ზეპირი შემოწმებისათვის ადგენენ სპეციალური საგნების (სპეციალობაში თეორიული მომზადების) მასწავლებლები, საწარმოო სწავლების დარგში სასწავლო ნაწილის გამგის ხელმძღვანელობით და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

8. საკვალიფიკაციო სასინჯ სამუშაოებში უნდა შედიოდეს ტიპიური სამუშაოები, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემულ სპეციალობაში საკვალიფიკაციო დახასიათებით და ავლენდეს, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა თანამედროვე ტექნიკა. ტექნოლოგია და შრომის მოწინავე მეთოდები.

9. გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდების დაწყებამდე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ საწარმოო სწავლების დარგში სპეციალური საგნების მასწავლებლებთან და საწარმოთა, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების სპეციალისტებთან ერთად უნდა მოამზადოს მასალები, ნამზადები, იარაღები, სამარჯვები, სამუშაო ადგილები, სავალი ტრაქტორები, კომბაინები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვა მოწყობილობა, რაც საჭიროა მოსწავლეთა მიერ სასინჯი სამუშაოების შესასრულებლად.

10. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენს მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამების შესრულებისა და საგნებში მათი მოსწრების დამახასიათებელ მასალას, აგრეთვე საწარმოთა, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებებს თითოეული მოსწავლის მუშაობის შესახებ (მის მიერ შესწავლილი სპეციალობით).

3. საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობა

11. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლის მოსწავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩასატარებლად საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებში მათი ხელმძღვანელების ბრძანებით შეიქმნება საკვალიფიკაციო კომისიები, რომლებშიც შედიან ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სპეციალისტები იმ საწარმოთა და ორგანიზაციებისა, სადაც მოსწავლეები საწარმოო სწავლებას გადიოდნენ, აგრეთვე სკოლის დირექტორი ან მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში და სპეციალური საგნების 1—2 მასწავლებელი.

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება საწარმოს, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მოადგილედ კი—სკოლის დირექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლის გამოსაშვები კლასის მოსწავლეთათვის ტრაქტორისტ-მემანქანის, კინომექანიკოსისა და შოფრის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება შემდეგი წესით:

ა) საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეებს III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის კვალი-

ფიკაციას ანიჭებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბ-
ლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“-ს სარაიონო (სარაიონთ-
შორისო) განყოფილებების საატესტაციო კომისიები.

„საქსოფლტექნიკა“-ს სარაიონო (სარაიონთშორისო) განყო-
ფილებების საატესტაციო კომისიები საწარმოოსწავლებიანი სკო-
ლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა ატესტაციას ახდენენ
სკოლისა და იმ საბჭოთა მეურნეობის (კოლმეურნეობის) წარდგე-
ნით, რომლის ბაზაზეც ტარდებოდა მოსწავლეთა საწარმოო სწავ-
ლება;

ბ) საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების გამოსაშვები
კლასების მოსწავლეთათვის II კატეგორიის კინომექანიკოსის კვა-
ლიფიკაციის დასადგენად მოსწავლეთა ცოდნას ამოწმებს საქართ-
ველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის განყოფილების
სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისია;

გ) მოსწავლეები, რომლებიც III კლასის შოფრის პროფესიას
ეუფლებიან, X კლასის დამთავრებისას შესამოწმებელ გამოცდებს
აბარებენ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა საკვალიფიკაციო კო-
მისიებს, სადაც ისინი საწარმოო სწავლებას გადიან. მოსწავლეებს,
რომლებმაც ჩააბარეს გამოცდები, ეძლევათ თანდართული ნი-
მუშის ცნობა (დანართი № 1), ეს ცნობა მოსწავლეს უფლებას აძ-
ლევს XI კლასში სწავლის დროს იმუშაოს სტაჟიორ-შოფრად. XI
კლასის დამთავრებისას სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის
ადგილობრივი ორგანოები მოსწავლეებს ანიჭებენ III კლასის შოფ-
რის კვალიფიკაციას, როდესაც ისინი ჩააბარებენ გამოცდებს მოძ-
რაობის წესებსა და ავტომობილის ტარებაში.

გამოცდების ჩასაბარებლად სახელმწიფო საავტომობილო ინს-
პექციას წარედგინება: ცნობა შესამოწმებელი გამოცდების ჩაბარე-
ბის შესახებ X კლასში (დანართი № 1), სამედიცინო დაწესებულე-
ბის ცნობა ავტომობილის ტარებისათვის ვარგისობის შესახებ;
ორი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ. გარდა ამისა, წარდგენილ
უნდა იქნეს პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა
დოკუმენტი.

12. იმ მოსწავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარები-
სას, რომლებიც საწარმოო სწავლებას სასკოლო და სასკოლათშო-
რისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში გადიოდნენ, აგრეთვე
სკოლებში, რომლებიც მოსწავლეთა მომზადებას ახორციელებენ
არასაწარმოო პროფესიებით,—საკვალიფიკაციო კომისიის შემად-
გენლობა წესდება რაიონის განათლების განყოფილების განკარგუ-
ლებით. კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება ერთ-ერთი ადგილობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი სამრეწველო საწარმოს წარმომადგენელი, არასაწარმოო პროფესიებში გამოცდებისას კი სათანადო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

13. საკვალიფიკაციო კომისია განიხილავს საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოების ჩამოთვლას და დაადგენს, რომელ სამუშაოს (დამტკიცებული ჩამოთვლით) შეასრულებს თითოეული მოსწავლე, თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა მუშაობას, ამოწმებს მისი შესრულების ხარისხს.

იმისათვის, რომ თვალყური ადევნონ სამუშაოს შესრულებას მოსწავლეთა მიერ, რომლებიც სასინჯ სამუშაოს აბარებენ საწარმოს საამქროებს და ამ სამუშაოთა შეფასებაში მონაწილეობის მისაღებად საკვალიფიკაციო კომისია საწარმოო ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მოიწვევს სათანადო სპეციალისტებს.

მოსწავლეები, რომლებმაც არ შეასრულეს საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოები, ზეპირ გამოცდებზე არ დაიშვებიან.

14. მოსწავლეთა მიერ საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოების შესრულების მიხედვით საკვალიფიკაციო კომისია ატარებს სხდომებს, რომლებზედაც:

ა) ეცნობა მოსწავლეთა მოსწრების საბოლოო შეფასებებს პროფესიული მომზადების ყველა სპეციალურ საგანში;

ბ) იხილავს საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოების შესრულების შედეგებსა და მოსწავლეთა საწარმოო დახასიათებებს;

გ) ატარებს მოსწავლეთა ცოდნის ზეპირ შემოწმებას საკვალიფიკაციო დახასიათების მოთხოვნათა ფარგლებში.

ამის შემდეგ საკვალიფიკაციო კომისია დახურულ სხდომაზე ხმის უმრავლესობით წყვეტს საკითხს მოსწავლეთათვის სატარიფო თანრიგის, კლასის ან წოდების მინიჭების შესახებ.

15. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება შეიტანება ოქმში (დანართი № 2), რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი. ოქმი იწერება ორ ცალად, ერთი ინახება საწარმოში, მეორე—სკოლაში.

16. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებმაც ყველა გამოსაშვები გამოცდა ჩააბარეს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ საგნებში და საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაო შეასრულეს,—საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატთან ერთად ეძლევათ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლებისათვის დადგენილი ერთიანი ნიმუშის მოწმობა სპეციალობის მიღების შესახებ; მოწმობაში ნაჩვენები უნდა იყოს საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მინიჭებული თანრიგი

ან კლასი (იმ სპეციალობებში, რომლებშიც შეიძლება მათი მინიჭება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობას ხელს აწერენ საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი.

მოწმობებს ტრაქტორისა და სხვა თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის უფლებაზე აძლევენ „საქსოფლტექნიკა"-ს სარაიონო (სარაიონთშორისო) განყოფილებების საატესტაციო კომისიები.

კინომექანიკოსის მოწმობებს აძლევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის განყოფილების სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისია.

ამასთან დაკავშირებით მოსწავლეებს, რომლებმაც III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანისა და კინომექანიკოსის სპეციალობები მიიღეს, ერთიანი ნიმუშის მოწმობა არ ეძლევათ.

შოფერ-პროფესიონალის მოწმობას აძლევს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია.

III კლასის შოფრისა და ზეინკალ-ავტოშემკეთებლის სპეციალობების დაუფლების შესახებ მოსწავლეთა მიერ მიღებული ერთიანი ნიმუშის მოწმობაში ჩაიწერება მხოლოდ მეორე სპეციალობა (ზეინკალ-ავტოშემკეთებელი).

17. მოსწავლეებს, რომლებმაც გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდები ვერ ჩააბარეს, უფლება ეძლევათ, არა უგვიანეს ერთი თვისა, ხელახლა ჩააბარონ საკვალიფიკაციო გამოცდები, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართონ სკოლის დირექტორს.

18. საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობის დამთავრებიდან ხუთი დღის ვადაში სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში ადგენს ანგარიშს გამოსაშვები გამოცდების შედეგებზე, რომელსაც იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

ანგარიშში ანალიზი უკეთდება სკოლის გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებას, აღინიშნება გამოცდების პროცესში გამოვლინებული დამახასიათებელი ნაკლოვანებანი და დაისახება ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

მიეცა _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

დასტურად იმისა, რომ საწარმოო სწავლებას ის გადის _____
_____
(სკოლის დასახელება)

და III კლასის შოფრების მომზადების პროგრამით ჩააბარა შესამოწმებელი გამოცდები შემდეგი შეფასებებით:

1. ავტომობილის მოწყობილობა _____
2. ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის წესები _____
3. ავტომობილის ტარება _____

_____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

შეიძლება დაშვებულ იქნეს სამუშაოზე შოფრის სტაჟიორად.

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე:

ბ. ა. **სკოლის დირექტორი**

_____ „_____" _____

196 წ.

_____ შოფრის სტაჟიორად მუშაობდა
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

196 წ. „_____" _____ დან „_____" _____ მდე

მოძრაობის წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია

სტაჟიორობის შეფასება _____

საწარმოს ხელმძღვანელი:

სკოლის დირექტორი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქმი

საკვალიფიკაციო კომისიის 196 წლის „____“ _____
სხდომისა _____

(რესპუბლიკის, რაიონის, სკოლის დასახელება) მოსწავლეთათვის სპეციალობის მინიჭების შესახებ

კლასი _____

სპეციალობა _____

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის წევრები _____
(სახელი, ძამის სახელი,

_____
გვარი,

_____
თანამდებობა)

განიხილა რა პროფესიული მომზადების საგნებში მოსწრების საბოლოო შეფასებები, სასწავლო და საწარმოო დახასიათებები, საკვალიფიკაციო სასინჯი სამუშაოების შედეგები და ჩაატარა რა მოსწავლეთა ცოდნის ზეპირი შემოწმება, კომისიამ დაადგინა:

1. სიაში აღნიშნულ მოსწავლეებს მიეცეთ მოწმობები სპეციალობის მინიჭების შესახებ.

გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების წელი და თვე	გამოცდაზე მიღებული შეფასება	მინიჭებული სპეციალობა და კვალიფიკაცია (თანრიგი, კლასი)

2. ქვემოთ დასახელებულ მოსწავლეებს რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე არ იყვნენ დაშვებულნი ან ვერ ჩააბარეს გამოცდები, უფლება მიეცეთ ერთი თვის შემდეგ გაიარონ საკვალიფიკაციო გამოცდები სპეციალობის მისაღებად:

გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების წელი და თვე

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები:

СОГЛАСОВАНА
С главным Управлением кинофикации
Министерства культуры ГССР

С грузинским объединением Совета
Министров ГССР „Грузсельхозтехника“

С государственной автомобильной
инспекцией Управления милиции
МВД ГССР

С управлением профессионально-
-технического образования при
Совете Министров ГССР

УТВЕРЖДАЮ:
Зам. Министра просвещения
Грузинской ССР
И. Берозашвили
1963 г. 24-IV

ИНСТРУКЦИЯ

о порядке проведения выпускных квалификационных испытаний в средних общеобразовательных трудовых политехнических школах с производственным обучением

1. Общие положения

1. После окончания полного курса производственного обучения учащиеся XI класса средних общеобразовательных трудовых политехнических школ проходят квалификационные испытания, которые имеют целью выявить подготовленность учащихся к самостоятельной работе на производстве по приобретенной специальности и установить им тарифные разряды, классы.

2. К выпускным квалификационным испытаниям допускаются все учащиеся, закончившие курс обучения по программам производственного обучения и получившие положительные итоговые оценки по всем предметам учебного плана профессиональной подготовки по данной специальности.

3. Выпускные квалификационные испытания состоят из выполнения учащимися квалификационных пробных работ и устного экзамена по проверке знаний учащихся в пределах квалификационных характеристик по специальности.

Для специальностей, по которым пробная работа не может быть проведена, квалификация учащихся определяется путем проверки непосредственно на предприятиях, в учреждениях и организациях подготовленности учащихся к самостоятельной работе. Проверка проводится в порядке, установленном для соответствующих работников данного предприятия, учреждения или организации.

2. Подготовка к выпускным квалификационным испытаниям

4. По окончании изучения каждого предмета, предусмотренного учебным планом профессиональной подготовки, учащимся выставляется зачетная оценка на основе результатов текущей устной проверки знаний и практических работ, выполненных учащимися за все время изучения данного предмета.

5. Учащиеся, получившие по отдельным предметам профессиональной подготовки неудовлетворительные оценки, допускаются к повторной проверке знаний и навыков по этим предметам в специально назначенное преподавателем время до проведения выпускных квалификационных испытаний.

6. За месяц до начала выпускных квалификационных испытаний учащихся следует ознакомить с вопросами для устной проверки знаний и характером квалификационных пробных работ.

7. Содержание квалификационных пробных работ для каждой специальности устанавливается по согласованию со школой, предприятиями, строительствами, совхозами, колхозами, транспортными и другими организациями, где школьники проходили производственное обучение.

Вопросы для устной проверки знаний учащихся составляются под руководством заведующего учебной частью школы по производственному обучению, преподавателями специальных предметов (теоретической подготовки по специальности) и утверждаются директором школы.

8. Квалификационные пробные работы должны содержать выполнение типичных работ, предусмотренных квалификационной характеристикой по данной специальности, дающих возможность

выявить, в какой мере учащиеся освоили современную технику и технологию, передовые методы труда.

9. До начала выпускных квалификационных испытаний заведующий учебной частью школы по производственному обучению совместно с преподавателями специальных предметов и специалистами предприятий, строек, совхозов, колхозов должны подготовить материалы, заготовки, инструменты, приспособления, рабочие места, ходовые тракторы, комбайны, сельскохозяйственные машины и другое оборудование, необходимое для выполнения учащимися пробных работ.

10. Заведующий учебной частью школы по производственному обучению представляет квалификационной комиссии материалы, характеризующие выполнение учащимися учебных программ и успеваемости учащихся по предметам, а также характеристики от предприятий, строек, совхозов, колхозов и других организаций о работе каждого учащегося по изученной им специальности.

3. Работа квалификационной комиссии

11. Для проведения квалификационных испытаний учащихся средних общеобразовательных трудовых политехнических школ с производственным обучением на предприятиях, строительствах, в совхозах, колхозах, транспортных и других организациях приказом их руководителей создаются квалификационные комиссии, в которые входят представители администрации, общественных организаций и специалисты тех предприятий и организаций, где учащиеся проходили производственное обучение, а также директор или заместитель по производственному обучению школы 1—2 преподавателя специальных предметов.

Председателем квалификационной комиссии назначается представитель администрации предприятия, а заместителем—директор или заведующий учебной частью школы по производственному обучению.

Присвоение выпускникам общеобразовательных школ с производственным обучением квалификации тракториста-машиниста, киномеханика и шофера производится в таком порядке:

а) квалификация тракториста-машиниста III класса выпускникам средних школ с производственным обучением присваивает-

ся аттестационными комиссиями районных (межрайонных) отделений „Сельхозтехника“.

Аттестационные комиссии районных (межрайонных) отделений „Сельхозтехника“ производят аттестацию выпускников школ с производственным обучением по представлению школы и совхоза (колхоза), на базе которого проводилось производственное обучение учащихся;

б) проверка знаний на установление выпускникам средних школ с производственным обучением квалификации киномеханика II категории производится государственной квалификационной комиссией отдела кинофикации министерства культуры ГССР.

в) учащиеся, приобретающие профессию шофера III класса, по окончании X класса сдают проверочные испытания квалификационным комиссиям тех предприятий и организаций, где они проходят производственное обучение. Учащимся, выдержавшим испытания, выдается справка по прилагаемому образцу (приложение I), которая является основанием для работы в XI классе в качестве стажера-шофера. По окончании XI класса местными органами Государственной автомобильной инспекции учащимся присваивается квалификация шофера III класса после сдачи ими экзаменов по правилам движения и вождения автомобиля.

Для сдачи экзаменов в Государственную автомобильную инспекцию представляются: справка о сдаче проверочных испытаний в X классе (приложение I); справка медицинского учреждения о годности к управлению автомобилем; две фотокарточки размером 3×4 см. Кроме того, предъявляется паспорт или другой документ, удостоверяющий личность.

12. При проведении квалификационных испытаний учащихся, проходивших производственное обучение в школьных и межшкольных учебно-производственных мастерских, а также в школах, осуществляющих подготовку учащихся по непроизводственным профессиям, состав квалификационной комиссии устанавливается распоряжением районного отдела народного образования. Председателем комиссии назначается представитель одного из местных промышленных предприятий, а при испытаниях по непроизводственным профессиям — представитель соответствующей организации.

13. Квалификационная комиссия рассматривает перечень квалификационных пробных работ и устанавливает, какую работу (из утвержденного перечня) будет выполнять каждый учащийся,

наблюдает за работой учащихся, проверяет качество её выполнения.

Для наблюдения за выполнением работы учащимися, сдающими пробную работу в цехах предприятий, и для участия в оценке этих работ квалификационная комиссия приглашает по договоренности с руководством предприятия соответствующих специалистов.

Учащиеся, не выполнившие квалификационные пробные работы, к устным экзаменам не допускаются.

14. По мере выполнения учащимися квалификационных пробных работ квалификационная комиссия проводит заседания, на которых:

а) знакомится с итоговыми оценками успеваемости учащихся по всем специальным предметам профессиональной подготовки;

б) рассматривает результаты выполнения квалификационных пробных работ и производственные характеристики на учащихся;

в) проводит устную проверку знаний учащихся в пределах требований квалификационных характеристик.

После этого квалификационная комиссия на закрытом заседании решает большинством голосов о присвоении учащимся тарифного разряда, класса или звания.

15. Решения квалификационной комиссии заносятся в протокол (приложение 2), подписываемый председателем и всеми членами комиссии. Протокол составляется в двух экземплярах, из которых один хранится на предприятии, а другой—в школе.

16. Юношам и девушкам, выдержавшим все выпускные экзамены по общеобразовательным и специальным предметам и выполнившим квалификационную пробную работу, одновременно с аттестатом об окончании средней школы выдается свидетельство единого образца, установленное для средних общеобразовательных школ с производственным обучением о получении специальности, с указанием присвоенного квалификационной комиссией разряда или класса (по тем специальностям, по которым они могут присваиваться).

Свидетельство подписывается председателем квалификационной комиссии и директором школы.

Удостоверения на право управления тракторами и другими самоходными сельскохозяйственными машинами выдаются аттестационными комиссиями при районных (межрайонных) отделениях „Сельхозтехника".

Удостоверения киномеханика выдаются государственной квалификационной комиссией отдела кинофикации Министерства культуры Грузинской ССР.

В связи с этим, учащимся, получившим специальности тракториста-машиниста III класса и киномеханика, свидетельства единого образца не выдаются.

Удостоверения шофера-профессионала выдаются Государственной автомобильной инспекцией.

В свидетельствах единого образца, выдаваемых учащимся, овладевшим специальностями шофера III класса и слесаря-авторемонтника, записывается только вторая специальность (слесарь-авторемонтник).

17. Учащимся, не выдержавшим выпускные квалификационные испытания, предоставляется право не менее чем через месяц снова пройти квалификационные испытания, для чего они обязаны подать письменные заявления на имя директора школы.

18. В пятидневный срок по окончании работы квалификационной комиссии заведующий учебной частью школы по производственному обучению составляет отчет об итогах выпускных испытаний, который вносится на обсуждение педагогического совета школы.

В отчете анализируется качество профессиональной подготовки выпускников школы, указываются характерные недочеты, выявленные в процессе испытаний, и мероприятия, которые следует провести для устранения их в дальнейшем.

Приложение № 1

СПРАВКА

Выдана _____
(фамилия, имя, отчество)

в том, что он____ проходит производственное обучение в

_____
(наименование школы)

и сдал_____проверочные испытания по программе подготовки шоферов III класса с оценками:

1. Устройство автомобиля _____
2. Правила движения транспорта и пешеходов_____
3. Вождение автомобиля _____

_____
(фамилия, имя, отчество)

может быть допущен к работе стажером шофера

Председатель квалификационной комиссии

М. П.

Директор школы

_____"_____"_____196 г.

_____работал стажером шофера
(фамилия, имя, отчество)

"_____"_____196___г. по "_____"_____196 г.

Нарушений правил движения не было.

Оценка за стажирование _____

Руководитель предприятия:

Директор школы:

Приложение № 2

ПРОТОКОЛ

От „_____“ _____ 196 г. заседания квалификационной комиссии по присвоению специальности учащимся

_____
(наименование школы, республики)

класс _____

специальность _____ III _____

Председатель комиссии _____
(фамилия, должность)

Члены комиссии _____

Рассмотрев итоговые оценки успеваемости по предметам профессиональной подготовки, производственные и учебные характеристики, результаты квалификационных пробных работ и проведя устную проверку знаний учащихся, комиссия постановила:

1. Указанным в списке учащимся выдать свидетельства о присвоении специальностей:

№№ п/п.	фамилия, имя, отчество	год и месяц рождения	оценка, полученная при испытании	присваиваемая специальность и квалификация (разряд, класс)

2. Нижепоименованным учащимся (не допущенным к выпускным испытаниям или не сдавшим их) предоставить право через месяц пройти квалификационные испытания на получение специальности.

№№ п/п	Фамилия, имя, отчество	год и месяц рождения

Председатель квалификационной комиссии:

Члены комиссии:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი
1963 წლის 23 აპრილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლას აარსებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო კვალიფიციური სტენოგრაფებისა და მდივან-მემანქანეების მოსამზადებლად.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლას აქვს ქართული და რუსული სექტორები. სწავლების ვადა სტენოგრაფიის განყოფილებაზე ორნახევარი წელია (ხუთი სემესტრი), მანქანაზე წერაზე კი—ერთი წელი (ორი სემესტრი).

პირველი კურსის მოსწავლეები, რომლებიც კარგ წარმატებას ვერ გამოიჩენენ სტენოგრაფიაში, ამთავრებენ ერთწლიან განყოფილებას და იღებენ მდივან-მემანქანის კვალიფიკაციას. ამ ხნის განმავლობაში მიღწეული სტენოგრაფიული ჩანაწერის სისწრაფე წუთში ქართულ სექტორზე 70 სიტყვაა, რუსულ სექტორზე კი—80.

მეორე კურსზე სწავლის გაგრძელების უფლება ეძლევა იმ მოსწავლეებს, რომლებიც ამთავრებენ მანქანაზე წერის განყოფილებას და სტენოგრაფიაში აქვთ შეფასება „კარგი“ ან „ფრიადი“

სტენოგრაფიის განყოფილებაზე საკუთრივ სტენოგრაფიას, პრაქტიკული მეცადინეობითურთ, ეთმობა 989 საათი, ამ ხნის განმავლობაში მიღწეული სტენოგრაფიული ჩანაწერის სისწრაფე წუთში ქართულ სექტორზე 90 სიტყვაა, რუსულ სექტორზე კი—100.

მესამე კურსზე (მეხუთე სემესტრში) სწავლას განაგრძობენ ის მოსწავლეები, რომელთაც სტენოგრაფიაში აქვთ შეფასება „კარგი“ ან „ფრიადი“ და სურთ მიიღონ სტენოგრაფის მაღალი კვალი-

ფიკაცია (ქართულ სექტორზე 110 სიტყვის სისწრაფით და რუსულ სექტორზე 120 სიტყვის სისწრაფით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში სტენოგრაფიის განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო, ხოლო მანქანაზე წერის განყოფილებაზე ძირითადად საშუალო, აგრეთვე რვაწლიანი განათლების მქონე დედრობითი სქესის მოქალაქენი 18-დან 35 წლის ასაკამდე, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდას მშობლიურ ენაში.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობით.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა სამეურნეო ანგარიშზეა (სწავლა ფასიანია), სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს შტამპი და ბეჭედი თავისი სახელწოდების წარწერით.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში ქ. თბილისის ზოგი საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონები სწავლობენ სტენოგრაფიას და მანქანაზე წერას საწარმოო სწავლება წარმოებს ამ ტიპის სკოლების პროგრამით.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა არსებობს ქ. თბილისში.

2. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში სასწავლო მუშაობა წარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით.

სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი, რომელსაც მასწავლებელი ატარებს მსმენელთა მუდმივი შემადგენლობის მქონე განსაზღვრულ ჯგუფებთან მეცადინეობის მტკიცე ცხრილის მიხედვით.

მსმენელთა რაოდენობა თითოეულ ჯგუფში არ უნდა აღემატებოდეს 30—35 კაცს.

მსმენელთა ცოდნის შემოწმება და დაწესებული ნიშნების მიხედვით მათი შეფასება წარმოებს სისტემატურად, გაკვეთილზე ზეპირი გამოკითხვის, წერითი მუშაობის ჩატარებისა და საშინაო დავალებათა შესრულების შემოწმების გზით.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში

სასწავლო წელი იწყება 1-ლ სექტემბერს, მთავრდება 30 ივნისს (გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩათვლით) და იყოფა ნახევარწლებად—სემესტრებად—პირველი ნახევარწელი—1-ლი სექტემბრიდან 31 იანვრამდე და მეორე ნახევარწელი 1-ლი თებერვლიდან 30 ივნისამდე გრძელდება.

სასწავლო წლის ბოლოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო ინსტრუქციის საფუძველზე, ტარდება კურსიდან კურსზე გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები.

სწავლების მეორე წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო ინსტრუქციით დადგენილი წესის მიხედვით ტარდება სკოლის მსმენელთა საწარმოო პრაქტიკა.

3. მსმენელთა შესახებ

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში სწავლის მსურველთაგან განცხადებათა მიღებას აწარმოებს სკოლის დირექტორი 1-ლი ივლისიდან 25 აგვისტომდე, ხოლო ჩარიცხვას—25 აგვისტოდან 1-ლ სექტემბრამდე.

სკოლაში ჩარიცხვის შესახებ განცხადების შეტანისას წარდგენილი უნდა იქნეს განათლების მოწმობა და სხვა საბუთები.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლაში შემსვლელი წერით გამოცდას აბარებს იმ ენაში, რომელზედაც მას სურს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის შესწავლა. გამოცდა ტარდება საშუალო და რვაწლიანი (რვაწლიანი სკოლის განათლების მქონე კონტინგენტთან) სკოლის პროგრამის მოცულობით.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის კურსდამთავრებულად ითვლება ის პირი, რომელიც მთლიანად შეასრულებს სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ჩააბარებს გამოცდებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში და შეასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლის კურსდამთავრებულს მიეცემა დაწესებული ფორმის დიპლომი იმის შესაბამისად, თუ სკოლის რომელი განყოფილება დაამთავრა, სახელდობრ:

ა) მანქანაზე წერის განყოფილების კურსდამთავრებულს—დიპლომი სკოლის დამთავრების შესახებ, მანქანაზე წერის განსაზღვრული სისწრაფის აღნიშვნით;

ბ) სტენოგრაფიის განყოფილების კურსდამთავრებულს—დიპლომი სკოლის დამთავრების შესახებ, რომელიმე შემდეგი კვალიფი-

კაციის მინიჭებით: სტენოგრაფი და უმაღლესი (ყრილობის) კვალიფიკაციის სტენოგრაფი, წერის განსაზღვრული სისწრაფის აღნიშვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სკოლის ხელმძღვანელობა

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლას სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობს სკოლის მთელ მუშაობას და პასუხისმგებელია სკოლის მთელი სასწავლო მეთოდური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ფინანსიური საქმიანობისათვის, აგრეთვე იმ დადგენილებებისა და ინსტრუქციების ზუსტად შესრულებისათვის, რომლებიც სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლას ეხება.

კერძოდ, სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის დირექტორს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყველა დადგენილებისა და განკარგულების შესრულება, რაც სკოლის მუშაობას შეეხება;

ბ) სკოლის სასწავლო-პედაგოგიურ და პოლიტიკურ აღმზრდელობით მუშაობაზე საერთო ხელმძღვანელობა;

გ) სკოლის ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ფინანსიურ საქმიანობაზე უშუალო ხელმძღვანელობა;

დ) სკოლის სასწავლო-საწარმოო გეგმებისა და პროგრამების შესრულება;

ე) საჭირო სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით და სამეურნეო მოწყობილობით სკოლის მომარაგების ორგანიზაცია;

ვ) შინაგანაწესის პროექტის შედგენა, მისი წარდგენა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად და შინაგანაწესის შესრულებაზე თვალყურის დევნება;

ზ) სკოლისადმი ბრძანებებისა და განკარგულებების გაცემა;

თ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში სკოლის სამუშაო გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების წარდგენა;

ი) სკოლის სახელით სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სასამართლო ორგანოებსა და არბიტრაჟში წარმომადგენლობა სკოლის საქმეებზე;

კ) სკოლის სახელით დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და ცალკე პირებთან ხელშეკრულებათა დადება;

ლ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად სასწავლო ნაწილის გამგისა და მასწავლებლების წარდგენა;

მ) სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პირთა მიღება და დათხოვნა;

ნ) სკოლის მსმენელთა მიღება და გარიცხვა.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში წესდება თანამდებობა სასწავლო ნაწილის ორი გამგისა სპეციალურ დისციპლინებში (სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერაში).

სასწავლო ნაწილის გამგეს შეუძლია ასწავლოს სკოლაში ერთ-ერთი სასწავლო საგანი.

სასწავლო ნაწილის გამგე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის წინაშე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის, კონტროლს უწევს სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და მეცადინეობისათვის ცხრილის შესრულებას, ხელმძღვანელობს და წარმართავს მასწავლებელთა მეთოდურ მუშაობას.

დირექტორის არყოფნის შემთხვევაში სასწავლო ნაწილის გამგე ასრულებს მის მოვალეობას.

კერძოდ, სასწავლო ნაწილის გამგეს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

ა) სასწავლო-მეთოდურ მუშაობაზე უშუალო ხელმძღვანელობა;

ბ) პედაგოგიური პროცესების მიმდინარეობასა და სასწავლო პროგრამების შესრულებაზე სისტემატური კონტროლის განხორციელება;

გ) საინსტრუქციო-მეთოდური თათბირების მოწვევა და ჩატარება, მეთოდგაერთიანებების მუშაობაზე საერთო ხელმძღვანელობის გაწევა;

დ) სკოლის მსმენელთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლაზე ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება;

ე) მეცადინეობის გრაფიკებისა და ცხრილების დამუშავება.

5. მასწავლებელთა შესახებ

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლის მასწავლებლად ინიშნებიან ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლის მასწავლებლებს

ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სკოლის დირექტორის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებელი პასუხისმგებელია მსმენელთა თეორიული და პრაქტიკული მომზადებისათვის.

6. მეთოდგაერთიანებები

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლის სასწავლო ნაწილთან არსდება მეთოდგაერთიანებები, რომლებიც ახორციელებენ სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას სათანადო დისციპლინის სწავლებაზე, აგრეთვე მასწავლებელთა მეთოდურ მუშაობაზე.

მეთოდგაერთიანებების შემადგენლობაში შედის სათანადო დისციპლინის მასწავლებელთა მთელი პერსონალი.

თითოეულ მეთოდგაერთიანებას სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს მეთოდგაერთიანების მთელ საქმიანობას და პასუხისმგებელია მის მუშაობაზე.

მეთოდგაერთიანების თავმჯდომარეს ევალება:

ა) სასწავლო გეგმის საფუძველზე სათანადო დისციპლინის პროგრამის დამუშავება;

ბ) სათანადო დისციპლინის სწავლების შესახებ მეთოდური მითითებისა და სხვა მასალების დამუშავება;

გ) მსმენელთა მისაღები და გამოსაშვები გამოცდების ჩატარებაში მონაწილეობის მიღება;

დ) სწავლების ხარისხის შემოწმება, მსმენელთა მოსწრებისადმი თვალყურის დევნება, მასწავლებელთათვის სისტემატური ინსტრუქტაჟისა და კონსულტაციის გაწევა სწავლების მეთოდიკის საკითხებზე;

ე) მეთოდგაერთიანებების სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის, წლიური გეგმებისა და ანგარიშების სასწავლო ნაწილის გამგისათვის წარდგენა.

7. პედაგოგიური საბჭო

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში არსდება პედაგოგიური საბჭო სკოლის დირექტორის თავმჯდომარეობით, სასწავლო ნაწილის გამგისა და ყველა მასწავლებლის შემადგენლობით, საწარმოოსწავლებიანი სკოლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევით.

პედაგოგიური საბჭო მოქმედებს საქართველოს სსრ განათლე-

ბის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოლის პედაგოგიური საბჭოს დებულების საფუძველზე.

სკოლის პედაგოგიური საბჭო განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) სკოლის წლიური სამუშაო გეგმები და შათი შესრულების საკითხები;

ბ) მეთოდგაერთიანების სამუშაო გეგმები და ანგარიშები;

გ) სასწავლო პროცესის ორგანიზაციის საკითხები;

დ) მეთოდური მუშაობის საკითხები;

ე) სკოლის მსმენელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

8. სახსრები და ანგარიშები

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლის სახსრები შედგება სკოლის მსმენელთაგან შემოსული სწავლის ქირის შემოსავლისაგან.

ყოველწლიურად, სკოლის წლიური ანგარიშებისა და ბალანსის დამტკიცებისას განისაზღვრება სკოლის მოგებისა და ზარალის ოდენობა სათანადო წესების შესაბამისად.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლას აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წლიური ხარჯთაღრიცხვა და ანგარიშსწორების ანგარიში სახელმწიფო ბანკში.

კრედიტების განმკარგულებელი, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, არის დირექტორი.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავის მუშაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იმ ვადებისა და ფორმების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია სამინისტროს მიერ.

9. სკოლის ლიკვიდაცია

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის არსებობა შეიძლება შეწყდეს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლის ლიკვიდაციის შემთხვევაში სკოლის მთელი სასწავლო მოწყობილობა და ქონება,

საქმეები, დოკუმენტები, ანგარიშები, აგრეთვე მთელი აქტივი და პასივი გადაეცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

შენიშვნა: ამ დებულების გამოცემასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ითვლება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1948 წლის სექტემბერში დამტკიცებული დებულება „სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური კურსების შესახებ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი
1963 წლის 23 აპრილი

განმარტებითი გარათი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის სახწავლო გეგმებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის, სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის წინამდებარე სასწავლო გეგმა გათვალისწინებულია მშობლიურ ენაზე ხელნაწერ სტენოგრაფიაში სტენოგრაფების, მაღალი კვალიფიკაციის სტენოგრაფთა და მდივან-მემანქანის მოსამზადებლად.

სტენოგრაფების მოსამზადებლად სკოლის სტენოგრაფიის ორწლიან განყოფილებაზე, სტენოგრაფიის სწავლებას პრაქტიკულ მეცადინეობასთან ერთად ეთმობა 737 საათი.

სწავლების მესამე წელს (მეხუთე სემესტრი) სტენოგრაფიის სწავლებას ეთმობა 252 საათი. სამი წლის განმავლობაში—989 საათი.

მანქანაზე წერას სტენოგრაფიის განყოფილებაზე ეთმობა 390 საათი. მანქანაზე წერის საერთო კურსიდან მანქანათმცოდნეობას ეთმობა 20 საათი. მეხუთე სემესტრში ზეპირი სიტყვის ჩაწერასა და მის გაშიფვრას საწერ მანქანაზე ეთმობა—42 საათი.

მშობლიურ ენასა და სტილისტიკის საფუძვლებს ეთმობა 82 საათი.

სკკპ ისტორიის სწავლებას ეთმობა 123 საათი.

სამდივნო საქმეს ეთმობა 20 საათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო პროცესის გეგმა

სტენოგრაფთა და მაღალი კვალიფიკაციის სტენოგრაფთა მოსამზადებლად (მშობლიურ ენაზე ხელნაწერ სტენოგრაფიაში)

№№ რიგზე	დისციპლინის დასახელება	1-ლი წელი				სულ 1 წლის განმავლობაში	მე-2 წელი				სულ წლის განმავლობაში	მთლიანად ორი წლის განმავლობაში	მე-3 წელი		მთლიანად სამი წლის განმავლობაში	შენიშვნა
		I სემესტ. 21 კვირა		II სემესტ. 20 კვირა			III სემესტ. 21 კვირა		IV სემესტ. 20 კვირა				V სემესტ. 21 კვირა			
		კვირეულ/ საათები	ს ე ს	კვირეულ/ საათები	ს ე ს		კვირეულ/ საათები	ს ე ს	კვირეულ/ საათები	ს ე ს			კვირეულ/ საათები	ს ე ს		
1	სტენოგრაფია . . .	7	147	7	140	287	6	126	6	120	246	533	6	126	659	
2	პრაქტიკული მუშაობა სტენოგრაფიაში (კარნახი) . . .	—	—	2	40	40	4	84	3	60	144	184	4	84	268	
3	ზეპირი სიტყვის ჩაწერა	—	—	—	—	—	—	—	1	20	20	20	2	42	62	
4	სკკპ ისტორია	3	63	3	60	123	—	—	—	—	—	123	—	—	123	
5	მანქანაზე წერა და მანქანათმცოდნეობა . .	10	210	9	180	390	—	—	—	—	—	390	—	—	390	
6	ზეპირი სიტყვის გაშიფვრა საწერ მანქანაზე .	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	41	41	
7	მშობლ. ენა სტილისტ. . .	2	42	2	40	82	—	—	—	—	—	82	—	—	82	
8	სამდივნო საქმე . . .	0,5	10,5	0,5	9,5	20	—	—	—	—	—	20	—	—	20	
	ს უ ლ . .	22,5	472,5	23,5	469,5	942	10	210	10	200	410	1352	14	293	1645	

მანქანაზე წერის განყოფილებაზე მანქანაზე წერის კურსს ეთმობა 390 საათი. მანქანაზე წერის საერთო კურსიდან მანქანათმცოდნეობას—20 საათი.

სტენოგრიფიასა და პრაქტიკულ მეცადინეობას (კარნახს) ეთმობა 328 საათი.

მშობლიურ ენასა და სტილისტიკის საფუძვლებს ეთმობა 82 საათი.

სამდივნო საქმეს—20 საათი.

სკკპ ისტორიას—123 საათი.

სასწავლო პროცესის გეგმა

მდივან-მემანქანის მოსამზადებლად

№№ რიგზე	დისციპლინის დასახელება	1-ლი სემესტრი 21 კვირა		მე-2 სემესტრი 21 კვირა		სულ წლიური საათები
		კვირ. საათ.	სულ სემ. საათ.	კვირ. საათ.	სულ სემ. საათ.	
1	სტენოგრაფია . . .	6	126	6	120	246
2	პრაქტიკული მუშაობა სტენოგრაფიაში (კარნახი)	2	42	2	40	82
3	სკკპ ისტორია	3	63	3	60	123
4	მშობლიური ენა და სტილისტიკა	2	42	2	40	82
5	მანქანაზე წერა და მანქანათმცოდნეობა	10	210	9	180	390
6	სამდივნო საქმე	0,5	10,5	0,2	9,5	20
	სულ	23,5	493,5	22,5	449,5	943

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი
1963 წლის 3 აპრილი

განმარტებითი ბარათი

ხელწერითი სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის პროგრამებისათვის

სტენოგრაფიის კურსი შეიცავს სტენოგრაფიული წერის თეორიას, უფრო ხშირად ხმარებულ სიტყვათა შემოკლებებს და მთლიან ტექსტებზე რიგ სხვა მაგალითებსა და სავარჯიშოებს.

ხელწერითი სტენოგრაფიის კურსის შესწავლის გეგმა ზოგადად გამოიხატება შემდეგში.

თავდაპირველად ხდება თეორიის ათვისება იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს პროგრამაშია მოცემული, შემდეგ მუშავდება შემოკლებულ სიტყვათა და შესიტყვებათა ნაწილი. შემდგომ, წერის სისწრაფის შესაძენად მოსწავლეები გადადიან დამოუკიდებელ წერაზე კარნახით და ვარჯიშობენ ჟურნალ-გაზეთებიდან და წიგნებიდან ტექსტების სტენოგრაფიულად გადმოწერაში.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წერის სისწრაფეს, მოხაზულობის სიზუსტეს და მის სწორად წაკითხვას.

ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ სავარჯიშოების გამეორებისა და დიდი რაოდენობის სხვადასხვაგვარი ტექსტის დამუშავების გზით. დაწერილი უნდა იკითხებოდეს, რათა შეძენილ იქნეს სტენოგრამის სწრაფად კითხვის ჩვევა.

მანქანაზე წერის კურსი ითვალისწინებს წერის თეორიასა და ტექნიკას, საქმის ქაღალდების გაფორმებას, ციფრობრივ სამუშაოებს, მანქანაზე წერის დამხმარე პროცესებს, წერის სისწრაფის განვითარებას და საწერი მანქანის საერთო გაცნობას.

ბრმა მეთოდით წერის ტექნიკის შეგნებულად ათვისებისათვის მოსწავლეებმა აუცილებელია იცოდნენ მუშაობის ამ მეთოდის საფუძვლები და საწერი მანქანის ტექნიკური თავისებურებანი. ამ

ცოდნათა ერთობლიობა მათ საშუალებას მისცემს შეგნებულად მიუდგნენ უშეცდომოდ წერის ჩვევების შეძენას და საქმის ქაღალდების გაფორმებას მათი შინაარსის შესაბამისი ფორმების მიხედვით. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაფორმების ელემენტები: არეები, სათაურები, ახალი სტრიქონები, აბზაცები და სხვა—უცებ განისაზღვრებოდეს თვალზომით და არ აფერხებდეს მოსწავლეთა მუშაობას მისი შესრულების წინასწარი მოფიქრებით.

ციფრობრივ მასალაზე მუშაობისას მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ ციფრობრივი ცხრილი, თვალზომით განსაზღვრონ, დაეტევა თუ არა ის ქაღალდის მოცემულ ფორმატზე. სწორად განალაგონ ციფრები სვეტებში ერთიმეორის ქვეშ, რიცხვების სვეტები კი—შესაბამის დასახელებათა გრაფების ქვეშ. გრაფებისა და სვეტების განლაგების წინასწარ გამოანგარიშებას მიმართონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი რიცხვების შემცველი მნიშვნელოვანი რაოდენობის სვეტებიანი ციფრობრივი ცხრილების შესრულება გვიხდება პატარა ფორმატზე.

მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა გაარკვიონ და გაასწორონ საწერი მანქანის უმარტივესი მოშლილობანი, რომლებიც თავიანთი ხასიათის მიხედვით არ მოითხოვენ სახელოსნოში შეკეთებას.

მანქანაზე საწერი ყოველგვარი სამუშაოს სწრაფად შესასრულებლად მოსწავლეებმა უნდა აითვისონ ბრმა წერის მეთოდი და მუშაობა მიიყვანონ ავტომატიზმის იმ დონემდე, რომლის დროსაც დამწერის გონება აღარ აკონტროლებს თითების მოძრაობას.

მანქანაზე წერის სწავლების გაადვილების მიზნით მოსწავლეთა თვალწინ უნდა იყოს კლავიატურის სქემა. დაყოფილი თითების მოქმედების ზონებად. ნატურალური ზომის ასეთი სქემა მოსწავლეებს შეუმსუბუქებს წარმოდგენას თითების ძირითადი მოძრაობის სიგრძესა და მიმართულებაზე. სწავლების დაწყებიდანვე საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა „ჩაჭვრეტის“ წინააღმდეგ, რადგან შემდეგში ეს შეაფერხებს წერის სისწრაფეს.

ბრმა მეთოდით მანქანაზე წერის სწავლების პროცესი უნდა დაიწყოს მარტივი სავარჯიშოებით, რომლებიც მოსწავლეთა მხრივ ელემენტარული ყურადღების მეტს არაფერს მოითხოვენ.

მოსწავლეთა თითოეული სავარჯიშო, თითოეული სამუშაო უნდა ისახავდეს გარკვეულ სასწავლო მიზნებს.

მთელი სასწავლო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს წერის მაღალი ხარისხისათვის ზრუნვით. არც ერთი სასწავლო ეტაპი არ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად, თუ ანაბეჭდების რიცხვი

ნამუშევარში აღემატება 0, 1%. წერის ტექნიკის ათვისება უნდა მიმდინარეობდეს ისეთი ტემპით, რომ სწავლების დამთავრებისას სავარჯიშოების შესრულება იყოს უშეცდომო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სწავლება მიმდინარეობს სპეციალური მიზნით. იგი ითვალისწინებს სასწავლო პროცესების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ჩაუნერგავს მოსწავლეებს შრომისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას და ამრიგად, ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სწავლება უნდა ითვალისწინებდეს მჭიდრო კავშირს სხვა საგნებთან, პირველ რიგში მშობლიურ ენასთან, რადგანაც მშობლიური ენის ღრმა ცოდნის გარეშე, ზოგადი ცოდნის ფართო მარაგის, მაღალი კულტურული და პოლიტიკური დონის გარეშე შეუძლებელია კარგი სტენოგრაფისა და მემანქანის მომზადება.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სპეციფიკა მოითხოვს, რომ სკოლაში მეცადინეობა მიმდინარეობდეს სპეციალურად მოწყობილ შენობაში (ეს განსაკუთრებით საჭიროა მანქანაზე წერაში მეცადინეობისათვის).

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სწავლება ძირითადად უნდა ტარდებოდეს გაკვეთილის ფორმით: ახსნა-განმარტებით, პრაქტიკული ჩვენებით, საწვრთნელი სავარჯიშოების ჩატარებით და დავალებული სამუშაოს შესრულებაზე კონტროლით. გარდა ამისა, სტენოგრაფიაში, განსაკუთრებით დაწყებით ეტაპზე, გათვალისწინებულია საშინაო დავალებებიც.

მანქანაზე წერის სწავლება მთლიანად გაკვეთილებზე მიმდინარეობს, ე. ი. ყოველგვარი საშინაო დავალების გარეშე.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის ხელწერითი წინამდებარე რუსული პროგრამები, რომელთაც საფუძვლად უდევს სტენოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო სისტემა (ავტორი ნ. ნ. სოკოლოვი) და ქართული სტენოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო სისტემა (ავტორი მ. გ. ლეონიძე), მიზნად ისახავს სტენოგრაფების, უმაღლესი კვალიფიკაციის (ყრილობის) სტენოგრაფებისა და მდივან-მემანქანეების მომზადებას სტენოგრაფიული სისწრაფით წუთში 110 სიტყვა (ქართული სექტორი), 120 სიტყვა (რუსული სექტორი), ხოლო მანქანაზე წერის სისწრაფით არა უმცირეს 130 დარტყმისა წუთში, მუშა მოსამსახურეთათვის არა უმცირეს 115 დარტყმისა წუთში.

სტენოგრაფიის შესწავლის ორნახევარი წლის მანძილზე მოსწავლეები აბარებენ (სტენოგრაფიის განყოფილება):

პირველ კურსზე—გამოცდას თეორიაში და ასრულებენ საკონტროლო სამუშაოს 70 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (ქართული სექტორი), 80 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (რუსული სექტორი).

მეორე კურსზე—წერით გამოცდას 90 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (ქართული სექტორი) და 100 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (რუსული სექტორი).

მესამე კურსზე—110 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (ქართული სექტორი) და 120 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (რუსული სექტორი).

მანქანაზე წერის განყოფილებაზე გამოცდას აბარებენ სტენოგრაფიაში, შესწავლის ერთი წლის მანძილზე 70 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (ქართული სექტორი) და 80 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (რუსული სექტორი).

მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფის მოსწავლეები—65 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (ქართული სექტორი) და 75 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (რუსული სექტორი).

ხელწერითი სტენოგრაფიის პროგრამა

სკოლაში სტენოგრაფიის შესწავლა მიზნად ისახავს წერის პროფესიული სისწრაფის დაუფლებას 90—110 სიტყვით წუთში.

სტენოგრაფიის კურსის გავლა არ შეიძლება იზოლირებულ იქნეს სხვა საგნებისაგან (ქართული ენა, სკკპ ისტორია), პირიქით, მათ შორის მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს.

მიმდინარე საკონტროლო და ჩათვლითი წერითი სამუშაოების შემოწმებისას სტენოგრაფიის მასწავლებელი აღნიშნავს ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომებს ჩვეულებრივი წერით დაწერილ ტექსტში და სამუშაოს საერთო შეფასებისას, იღებს რა მათ მხედველობაში, აკლებს ნიშანს, რათა მოსწავლეებს ჩაუნერგოს პასუხისმგებლობის გრძნობა გაშიფვრის ხარისხისადმი.

სტენოგრაფის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტენოგრაფიისა და ქართული ენის მასწავლებლებმა მასალა სავარჯიშოებისათვის უნდა შეარჩიონ ჟურნალ-გაზეთებიდან, აგრეთვე პოლიტიკური, ეკონომიური, მეცნიერული და პუბლიცისტური ხასიათის წიგნებიდან.

საათების განაწილება თემების მიხედვით პროგრამის ყველა ნაწილში საორიენტაციო ხასიათისაა და შეიძლება შეიცვალოს მუშაობის პირობების შესაბამისად.

საპროგრამო მასალის წარმატებით შესწავლა ყველა ნაწილში ითვალისწინებს მოსწავლეთა სავალდებულო საშინაო მუშაობას,

რაც ტარდება მასწავლებლის სისტემატური ხელმძღვანელობითა და მკაცრი კონტროლით. სტენოგრაფიაში ცოდნის აღრიცხვა და შემოწმება წარმოებს, როგორც თვით მეცადინეობის პროცესში (დაფასთან გამოძახება, საშინაო რვეულების შემოწმება, საკლასო სავარჯიშოების დამოუკიდებლად შესრულებაზე თვალყურის დევნება), ისე საკონტროლო წერითი სამუშაოების შესრულების გზით და დაწესებული გამოცდების ჩატარებით.

კურსის გეგმა და მოცულობა
სწავლების პირველი წელი—პირველი სემესტრი
ძირითადი კურსი

თეორია—147 საათი

ძირითადი კურსი მოიცავს სტენოგრაფიის თეორიას: ანბანის სტენოგრაფიულ ნიშნებს, ხმოვნების აღნიშვნის წესებს, შერწყმულ ნიშნებს, გრაფიკულ შემოკლებებს, სიტყვათა შემოკლებით დაწერის პირველდაწყებით ხერხებს, ბოლო ნიშნებს, ძირნიშნებს, საწყის ნიშნებს, რიცხვებისა და წილადების აღნიშვნის ხერხებს, რთული სიტყვებისა და შესიტყვებების აღნიშვნის ხერხებს, აგრეთვე მთელ რიგ შემოკლებებს პოლიტიკური ტექსტებიდან, ამ ტექსტების ნელი კარნახით წერას და დაწერილის წაკითხვას.

შესავალი საუბრის შემდეგ, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ საერთო წარმოდგენა სტენოგრაფიის საგანსა და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე, მოსწავლეთა ყურადღება უნდა გამახვილდეს სტენოგრაფიული ნიშნების სწორ და ზუსტ მოხაზულობაზე, ამ მიზნით მასწავლებელმა ყოველ მეცადინეობაზე უნდა გაუწიოს კონტროლი კლასში მოსწავლეთა სტენოგრაფიულ წერას და გულდასმით შეამოწმოს მათი საშინაო სამუშაოები.

სხვადასხვა ხასიათის ტექსტის სანიმუშო სტენოგრამების ნელი და ზუსტი გადმოწერა ორხაზიან რვეულებში რჩება სტენოგრაფიის შესწავლის დამთავრებამდე.

თეორიის შესწავლის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო მასალის აქტიურ და შეგნებულ ათვისებას.

ამ მიზნით მორიგი თეორიული მასალა უნდა იყოს ახსნილი რამდენიმე მაგალითზე. ცოდნის გაღრმავება და განმტკიცება წარმოებს მოსწავლეთა მიერ სავარჯიშოების დამოუკიდებლად ჩაწერით და მათი შემდგომი შემოწმებით დაფაზე დაწერით. დაფაზე დაწერილი უნდა იკითხებოდეს და მასწავლებლის კარნახით იწერებოდეს რვეულში.

შემოკლებების ათვისებისა და სისწრაფის განვითარებისათვის სავარჯიშოები რამდენჯერმე კარნახით უნდა იწერებოდეს, კარნახის სისწრაფე თანდათანობით უნდა მატულობდეს (20—25 სიტყვა წუთში), დასტენოგრამებული მასალა ყოველთვის უნდა იკითხებოდეს.

ჩქარი წერის ჩვევების შეძენასთან ერთად მოსწავლეებს უნდა განვუვითაროთ სტენოგრამის დაუბრკოლებლად კითხვის ჩვევებიც.

ჩათვლითი სამუშაო: უცნობი (ადვილი) სამწუთიანი მასალის კარნახით ჩაწერა და სტენოგრამის წერილობითი გაშიფვრა. კარნახის სისწრაფე წუთში 30 სიტყვა.

სპეციალური კურსი—180 საათი
მეორე სემესტრი

სპეციალური კურსი შეიცავს ნაწილს თემიდან „თეორიის გამოყენება პრაქტიკულ წერაში"—შემოკლების შესწავლას დარგობრივი მასალიდან (თემები—პროგრამის მიხედვით), სწრაფი წერის ჩვევების შეძენას.

პროგრამის ამ ნაწილის მიზანია სტენოგრაფიის თეორიაში შეძენილი ცოდნის გაღრმავება და განმტკიცება, შემოკლებების მარაგის გადიდება, უცნობი ტექსტების (განსაკუთრებულად ძნელი სიტყვების გარეშე) კარნახით ჩაწერა და სტენოგრამის დაუბრკოლებლად წაკითხვის ჩვევების დაუფლება (კარნახის სისწრაფე 30—40—50 და სემესტრის ბოლოსათვის 70 სიტყვა წუთში).

ცალკეული სიტყვებისა და შესიტყვებათა შემოკლებული ნიშნების ათვისება უნდა იყოს აქტიური, შეგნებული, გააზრებული და არა ფორმალური და ზერელე. სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს დარგობრივი შემოკლებების შესწავლასა და სისწრაფის განვითარებაზე.

უნდა მოვერიდოთ რთული ტექნიკური და მეცნიერული ხასიათის ტექსტებს, რათა მოსწავლეები ჯერ კარგად დაეუფლონ ხშირად ხმარებულ სიტყვათა და შესიტყვებათა ნიშნების სწრაფად წერას. ამ მიზნით მასწავლებელმა უნდა მიმართოს შემოკლებებს, დამახსოვრების საუკეთესო ხერხების დემონსტრირებას.

სწავლების ამ პერიოდში მთავარი ადგილი უკავია: მუშაობას სახელმძღვანელოს სავარჯიშოებზე; მასწავლებლისა და მოსწავლეთა მიერ სანიმუშო სტენოგრამების დაწერას დაფაზე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან; პატარა, უცნობი ტექსტების დამოუკიდებლად ჩაწერას შემოკლებების წინასწარი ჩვენებით (ჩაწერილი უნდა შემოწმდეს დაფაზე დაწერით); უცნობი ტექსტების კარ-

ნახის სისწრაფეზე და სტენოგრამის ზეპირ და წერილობით გაშიფვრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალური კურსის გავლისას მთავარი ყურადღება ექცევა ჩქარი წერისა და სტენოგრამის კითხვის ჩვევების შეძენას. ამიტომ სასწავლო დროის 2/3 უნდა დაეთმოს კარნახით წერასა და კითხვას, ხოლო 1/3 ახალი მასალის ახსნას.

ჩათვლითი სამუშაო: უცნობი (ადვილი) სამწუთიანი ტექსტის ჩაწერა კარნახით და სტენოგრამის წერილობითი დაშიფვრა. კარნახის სისწრაფე 65 სიტყვა წუთში.

სწავლების მეორე წელი—III სემესტრი
(210 საათი)

მესამე სემესტრის ბოლოს წერის სისწრაფე აყვანილ უნდა იქნეს წუთში 70—80 სიტყვამდე.

რადგანაც თეორია და ხშირად ხმარებული შესიტყვებები უკვე ცნობილია მოსწავლეთათვის, სწავლების ამ ეტაპზე მთავარი ყურადღება მიექცევა წერის ავტომატიზაციის შეძენას სხვადასხვა ხასიათის მასალაზე. პარალელურად ეძლევათ ზოგიერთი დამატებანი „უცხო სიტყვათა“ ნაწილისა და დარგობრივი შემოკლების შესახებ.

საჭიროა მუდამ ტარდებოდეს შემოკლებათა გამეორება „საცნობარო სიტყვარით“ და მოსწავლეებში ცალკეულ სიტყვათა და შესიტყვებათა დამოუკიდებლად შედგენის ჩვევების განვითარება.

მე-4 სემესტრი (200 საათი)

სწავლების ეს ეტაპი წარმოადგენს წინა ეტაპის გაგრძელებას და მიზნად ისახავს წერის სისწრაფის აყვანას 90 სიტყვამდე.

ასეთი სისწრაფით უნდა იწერებოდეს ყოველგვარი მასალა, გარდა ვიწრო სპეციალურისა.

მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს წერას სპეციალურ თემებზე—სახალხო მეურნეობის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგიდან.

შემოღებულია „ზეპირი სიტყვა“ და სტენოგრამის დამუშავება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტენოგრამის დაშიფვრის ხარისხს, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა ხერხი: დაუყოვნებლივი გაშიფვრა კლასში, შემდგომი დაშიფვრა შინ, ძველი დაუშიფრავი სტენოგრამების კითხვა კლასში (ცივი სტენოგრამა).

გამოცდა წუთში 90 სიტყვის სისწრაფეზე (შეფასების ნორმები თანახმად ინსტრუქციისა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწავლების მესამე წელი—მეხუთე სემესტრი
(252 საათი)

უმაღლესი კვალიფიკაციის სტენოგრაფის მომზადება

სწავლების მესამე წელს სკოლაში მეცადინეობას განაგრძობენ 90 სიტყვის სისწრაფეზე კურსდამთავრებულნი, რომელთაც სურთ საყრილობო სტენოგრაფის კვალიფიკაციის მიღება.

სწავლების მესამე წლის მთავარი ამოცანაა მაღალი კვალიფიკაციის სტენოგრაფების მომზადება, რომლებიც ეუფლებიან ჩქარ წერას ყრილობებზე, კონფერენციებზე, თათბირებსა და ლექციებზე ორატორების სიტყვათა ჩასაწერად სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის თემაზე და ამასთან შეძლებენ სტენოგრამების სტილისტურ დამუშავებასა და რედაქტირებას.

მთავარი ყურადღება ექცევა იმას, რომ მსმენელები დაეუფლონ წერის სათანადო სისწრაფეს ყოველგვარი ხასიათის ტექსტების ჩაწერაში, მათ შორის ვიწრო სპეციალურისაც (ლიტერატურა, ხელოვნება, მედიცინა და ა. შ.).

წერის სისწრაფე უმთავრესად მატულობს შემოკლებათა დიდი რაოდენობის ხმარებით.

ხშირად ხმარებული სიტყვებისა და შესიტყვებათა შემოკლებანი აგებულია სპეციალური კურსის პრინციპებზე (ფართოდაა გამოყენებული სიტყვათა შერწყმა და სხვა).

მოსწავლეები უნდა ვარჯიშობდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალური ტერმინების წერაში, რათა პრაქტიკული მუშაობისას ადვილად ერკვეოდნენ ყოველგვარ მასალაში, მათ შორის ვიწრო სპეციალურშიაც.

გამოცდა—„ზეპირი სიტყვის" ჩაწერა და კარნახი წუთში 110 სიტყვის სისწრაფით.

სასწავლო სახელმძღვანელო მ. გ. ლეონიძისა
„ქართული სტენოგრაფიის ერთიანი სისტემა"
ნაწილი I და II და „საცნობარო სიტყვარი",
დამტკიცებული საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს მიერ.

საკონტროლო ნამუშევრების შეფასება

1. ნამუშევრები ფასდება ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის მიხედვით.

2. ნამუშევრები სისწრაფეზე კარნახში შეფასდება შემდეგი შკალის მიხედვით:

ა) ნამუშევრები ფასდება ნიშნით „5“ (ფრიადი), თუ სამწუთიან გაშიფრულ ტექსტში:

50	სიტყვის	სისწრაფეზე	დაშვებულია	არა უმეტეს	2	შეცდომისა,
60	„	„	„	„ „	2	„
70	„	„	„	„ „	3	„
80	„	„	„	„ „	3	„
90	„	„	„	„ „	3	„
100	„	„	„	„ „	3	„
110	„	„	„	„ „	3	„
120	„	„	„	„ „	3	„

ბ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „4“ (კარგი), თუ გაშიფრულ ტექსტში

50	სიტყვის	სისწრაფეზე	დაშვებულია	არა უმეტეს	4	შეცდომისა
60	„	„	„	„ „	4	„
70	„	„	„	„ „	4	„
80	„	„	„	„ „	4	„
90	„	„	„	„ „	4	„
100	„	„	„	„ „	5	„
110	„	„	„	„ „	6	„
120	„	„	„	„ „	7	„

გ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „3“ (დამაკმაყოფილებელი), თუ „გაშიფრულ ტექსტში

50	სიტყვის	სისწრაფეზე	წუთში	დაშვებ.	არა უმეტეს	8 შეცდომისა
60	„	„	„	„ „	8	„
70	„	„	„	„ „	8	„
80	„	„	„	„ „	9	„
90	„	„	„	„ „	10	„
100	„	„	„	„ „	12	„
110	„	„	„	„ „	„	12-13
120	„	„	„	„ „	„	13-14

დ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „2“ (არადამაკმაყოფილებელი). თუ გაშიფრულ ტექსტში

50	სიტყვის	სისწრაფეზე	წუთში	დაშვებულია	არა უმეტეს	9-10 შეც.
60	„	„	„	„ „	„	10 „
70	„	„	„	„ „	„	11 „
80	„	„	„	„ „	„	12 „
90	„	„	„	„ „	„	13 „
100	„	„	„	„ „	„	15 „
110	„	„	„	„ „	„	16-17 „
120	„	„	„	„ „	„	17-18 „

ე) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „1“ (ძლიერ კუდი), თუ გაშიფრულ ტექსტში

50	სიტყვის	სისწრაფეზე	დაშვებულია	9-10	შეცდომაზე	მეტი
60	„	„	„	10	„	„
70	„	„	„	11	„	„
80	„	„	„	12	„	„
90	„	„	„	13	„	„
100	„	„	„	15	„	„
110	„	„	„	17	„	„
120	„	„	„	18	„	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ რ ა ფ ი კ ი

სტენოგრაფიული ჩაწერის სისწრაფისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგ.	ჯგუფები	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	მანქანაზე წერის განყოფილება (ქართული სექტორი)	თეორია	თეორია	თეორია	35	45	55	60	65	70	70
2	მანქანაზე წერის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფი (ქართული სექტორი)	"	"	"	30	35	40	50	60	60	65
3	მანქანაზე წერის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფი (რუსული სექტორი)	"	"	"	40	50	55	60	65	70	75
4	I კურსი ქართული სექტორი	"	"	"	35	45	55	60	65	70	70
5	I კურსი რუსული სექტორი	"	"	"	40	45	57	63	72	80	80
6	II კურსი ქართული სექტორი	70	70	75	78	80	83	85	88	90	90
7	II კურსი რუსული სექტორი	80	80	85	90	92	95	98	100	100	100
8	III კურსი ქართული სექტორი	90	95	100	105	110					
9	III კურსი რუსული სექტორი	100	105	110	115	120					

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანაზე წერის პროგრამა

ნაწილი 1. წერის თეორია და ტექნიკა

თემა 1. საწერი მანქანის ძირითადი ნაწილების აგებულება და დანიშნულება

პირველდაწყებითი ცნობები საწერი მანქანის შესახებ. ძირითადი ნაწილები, მათი აგებულება. საწერი მანქანის დანიშნულება, შესაძლებელი მოშლილობანი. ტანი მანქანისა, ურიკა, საკრნარი, ასოთა მკლავები, შუალედის საკრი, ლილვი, ლილვის სახელურები, ფარი ქაღალდისმჭერი, ქაღალდის გადამწევი, საწყისი და ბოლო არეების დამყენებლები: სტრიქონის გადამტანი ბერკეტი, ინტერვალების მომწესრიგებელი, ურიკის თავისუფალი მსვლელობის მიმცემი ბერკეტი.

თემა 2. საკრნარის ძირითადი რიგი

წერის ათთითებიანი მეთოდი. თითების განრიგება საკრნარზე, ხელების საწყისი პოზიციები. წერის ბრმა მეთოდი. თითების მოძრაობა ბრმა მეთოდით წერის დროს.

თითების მოძრაობათა შესწავლა საკრნარის ძირითადი (ქვევიდან მეორე) რიგის საკრებზე. დარტყმის განსხვავება დაწოლისაგან. მოწყვეტილი დარტყმა საკრებზე. წერის რიტმი. ცნება. რიტმზე. რიტმის როლი წერის სისწრაფისათვის.

ჯგუფური რიტმული ვარჯიშობანი საკრნარის ძირითადი რიგის საკრებზე.

ელემენტარული ცნობები სალენტე მექანიზმზე. ლენტის სვლის მიმართულების შეცვლა.

საკრნარის ძირითადი რიგის საკრებზე თითების მოძრაობის ჩვევების განმტკიცება. მოწყვეტილი დარტყმა საკრებზე.

თემა 3. საკრნარის ზედა (მესამე) რიგი

თითების განრიგება საკრნარის ზედა (მესამე) რიგის საკრებზე. დარტყმის შესწავლა ზედა რიგის საკრებზე.

ვარჯიში თითების მოძრაობათა შესასწავლად საკრნარის ზედა და ძირითადი რიგის საკრების შერწყმისას.

ვარჯიში მიღებულ ჩვევათა განსამტკიცებლად.

საკრნარის ორი (ზედა და ძირითადი) რიგის საკრებზე ჯგუფური რიტმული სავარჯიშოები.

ვარჯიში მიღებულ ჩვევათა განსამტკიცებლად და ჯგუფური რიტმული ვარჯიშობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა 4. საკრნარის ქვედა რიგი

თითების განრიგება საკრნარის ქვედა (პირველი) რიგის საკრებზე. პირველდაწყებითი ვარჯიშობანი საკრნარის ქვედა (პირველი) რიგის საკრებზე დარტყმის ასათვისებლად.

ვარჯიში თითების მოძრაობათა შესასწავლად ქვედა და ძირითადი რიგის საკრების შერწყმისას.

ვარჯიში თითების მოძრაობათა შესასწავლად საკრნარის ქვედა და ზედა რიგის საკრების შერწყმისას.

ჯგუფური რიტმული ვარჯიში.

თემა 5. საკრნარის ზედა (მეოთხე) რიგი

ნიშნები: ტირე, დეფისი, ბრჭყალები, ორ/წერტილი, მძიმე, ფრჩხილები, ირიბი ხაზი.

თითების მოძრაობათა შესწავლა საკრნარის ზედა რიგის საკრებთან შეწყობით.

თემა 6. ზემო რეგისტრი

ასომთავრული ასოები. ზემო რეგისტრით სარგებლობის წესები. ზემო რეგისტრის პედალები (საკრები), რეგისტრის პედალზე დაწოლის შეთანხმება საკრებზე დარტყმასთან.

ვარიჯიში რეგისტრის პედალებზე დაწოლისას საკრებზე დარტყმასთან მოძრაობათა შესასწავლად.

თითების მოძრაობების შესწავლა საკრ „წერტილის" მიმართ. ვარჯიში ზემო რეგისტრის შესასწავლად.

თემა 7. არაბული და რომაული ციფრები

ვარჯიში არაბული ციფრების წერისას თითების მოძრაობების შესასწავლად. ვარჯიში მანქანაზე რომაული ციფრების გადმოცემის მაგალითების შესასწავლად. ვარჯიში ციფრებთან შეწყობილი ნიშნების წერის დროს თითების მოძრაობათა შესასწავლად. ვარჯიში უფრო ხშირად ხმარებულ ციფრთა შეთანხმებებზე, ნიშნებსა და სიტყვებზე.

თემა 8. შუალედების წესები სასვენი ნიშნების, ბრჭყალებისა და ტირეს წერის დროს

მოკლე ფრაზები, როგორც გარდამავალი ეტაპი მთლიან ტექსტებზე.

სასვენი ნიშნების განლაგების წესები. ვარჯიში თითების მოძრაობათა ჩვევების განსამტკიცებლად სასვენნიშნებიანი მოკლე ფრაზების წერის დროს.

ნაწილი II. პრაქტიკული მუშაობა საქმის ქაღალდების გაფორმებაზე

თემა 9. მწყობრი ტექსტი

ტექსტიდან ერთი და იგივე მონაკვეთის განმეორებით გადაწერაზე ვარჯიში. ფრაზობრივი ვარჯიში. ვარჯიში უცნობი ტექსტის გადაწერაში. მწყობრი ტექსტი. მანქანაზე საწერი ქაღალდების გაფორმების ზოგადი წესები. არეები, მათი განლაგება გვერდებზე, (ახალი) წითელი სტრიქონები, წერის დროს აბზაცების გამოყოფის ხერხები. წერა ერთი და ორი ინტერვალით. ზედა და ქვედა არე, ქვედა არეს აღნიშვნა. ქაღალდის ფორმატი, მისი გამოყენება. არეს დამყენებელი და ქაღალდგამათავისუფლებელი, სტრიქონდამყენებელი. ცენტრალური ისარი.

თემა 10. სათაურები, მათი განლაგება და შესრულება ასომთავრული შრიფტით

სათაურებისა და ქვესათაურების წერა ორი ინტერვალით.

თემა 11. ტექსტში ცალკეული ადგილების გამოყოფის ხერხები

გახაზვა. წერა დაყოფით (გაფანტვით, შუალედებით), წერა ასომთავრული შრიფტით. ლილვის კბილანებიდან გამათავისუფლებელი მექანიზმი (თავისუფალი ლილვი). სხვისი ნათქვამი. სქოლიო. წერა შენიშვნებით, ერთი და ორი ინტერვალით.

თემა 12. სამუშაოთა კორექტურა

წერა დახაზულ ქაღალდზე. ტექსტის გადმოწერა 2 ინტერვალით ქაღალდის გაფორმების წესების დაცვით (გადასაღები ქაღალდით), წერის პროცესში რეზინით ამოშლა, შეცდომები, რომელთა გასწორება არ შეიძლება.

ასლებზე რეზინით ამოშლის ხერხები. ფრაზობრივი და ტექსტობრივი ვარჯიში. ვარჯიში უცნობი ტექსტიდან დიდი ნაწყვეტების 2-3-ჯერ განმეორებითი გადმოწერის საშუალებით.

თემა 13. ფრაზობრივი და ტექსტობრივი ვარჯიში, მუშაობა 1 და 2 ინტერვალით

ძირითადი ცნობები სალენტე მექანიზმსა და საწერი მანქანის სხვა ნაწილებზე. ლენტის მოძრაობის შეცვლა (გამეორება). საწვრთნელი ვარჯიში ტექსტებზე, მუშაობა ერთი ინტერვალით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემა 14. ტექსტების გადაწერა ქალალდების გაფორმების ზოგადი წესების დაცვით

ტექსტების გადაწერა ნათქვამის გამოყოფით. ტექსტის გადაწერა სქოლიოში ჩამოტანითა და არეზე გატანით. ფრაზებზე და ტექსტებზე ვარჯიში.

თემა 15. საქმის წერილი

საქმის წერილის აუცილებელი ელემენტები: გამგზავნის შტამპი, ადრესატი, წერილის შინაარსი, წერილზე ხელის მომწერი პიროვნების თანამდებობა და გვარი. წერილის დამატებითი ელემენტები: მითითება შეკითხვის ნომერზე და თარიღზე, დანართი, შენიშვნა. გამგზავნის კუთხის შტამპი. სწორად შესრულების ხერხები. საქმის წერილი გასწვრივი შტამპით. განცხადება. ცნობა. მოწმობა. მინდობილობა. აქტი. ოქმი. ოქმის აუცილებელი ელემენტები: თარიღი, დამსწრეთა ჩამოთვლა (ან მათი რიცხვის ჩვენება, თუ იგი დიდია) თავმჯდომარისა და მდივნის დასახელება, დღის წესრიგის გადმოცემა, რა მოისმინეს, რა დაადგინეს. ოქმის დამატებითი ნაწილები; მოკლედ ან სრულად გადმოცემული საკითხები, კამათი, განსაკუთრებული მოსაზრებანი. ოქმის ნიმუშების შესწავლა. ოქმის ამონაწერები, ამონაწერის ელემენტების განმარტება. ბრძანება. ბრძანების ამონაწერი. ხელშეკრულება: ტელეგრამა და ტელეფონაგრამა. ფრაზებსა და ტექსტებზე ვარჯიში.

თემა 16. ციფრობრივი სამუშაოები

ციფრობრივ სამუშაოთა თავისებურებანი. ციფრობრივი სვეტების მანძილების სიზუსტე. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზვის ხერხები, სვეტების დასათაურების განლაგება.

ვარჯიში უმარტივეს ციფრობრივ ცხრილებზე სვეტების მცირე რაოდენობით. რთული ციფრობრივი ცხრილი.

ფრაზობრივი და ტექსტობრივი ვარჯიში ციფრებით. ფრაზობრივი და ტექსტობრივი ვარჯიშობანი.

თემა 17. წერის სისწრაფის განვითარება

დოკუმენტაციის ფორმათა განმეორება. განცხადება. ცნობისა და მოწმობის წყობა. მინდობილობა. ტექსტობრივი ვარჯიში ნორმით 3—4 გვერდი, ვარჯიში ფრაზებსა და ტექსტებზე. დოკუმენტთა ფორმების გამეორება. წერილი კუთხის შტამპით.

კუთხის შტამპიანი წერილის ანალიზი. წერილი გრძივი შტამპით. გრძივი შტამპიანი წერილის ანალიზი; ოქმი და ოქმის ამონაწერის ანალიზი. ვარჯიში წუთსაზომით. დახასიათება. ბრძანება და ბრძანების ამონაწერი. ამოცანა დამოუკიდებელ განრიგზე. განცხადება.

ხელშეკრულება. საქმის წერილის ანალიზი. ვარჯიში ტექსტის გადაწერაზე. სტენოგრამის გაშიფვრა და მისი გაფორმება. უცხო ტექსტების გადაწერა. ვარჯიში წუთსაზომით.

თემა 18. მანქანაზე საწერი სხვადასხვა სამუშაოს დამოუკიდებელი შესრულება

სტენოგრამების გაშიფვრა. ამოცანები ცოდნის, წერილების, ოქმების, ბრძანებების, ხელშეკრულებებისა და სხვათა განლაგებაზე.

მანქანაზე წერაში:

პირველი სემესტრის დასასრულს მოსწავლეები ასრულებენ სამუშაოს 100 დარტყმის სისწრაფით წუთში.

სისწ.	100	და	მეტი	დარტ.	წუთში	0-2	შეცდ.	შეფასდება „5“
„	„	„	„	„	3-4	„	„	„4“
„	„	„	„	„	5-6	„	„	„3“
„	80-99	„	„	„	0	„	„	„5“
„	„	„	„	„	1-2	„	„	„4“
„	„	„	„	„	3-4	„	„	„3“
„	60-79	„	„	„	1-3	„	„	„3“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი
1963 წლის 23 აპრილი

დებულება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ

სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერაში

ზოგადი დებულებანი

1. საწარმოო პრაქტიკა სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერაში წარმოადგენს სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ საწერ მანქანაზე დასტენოგრამებისა და გაშიფვრის პრაქტიკულ ჩვევათა მიღებას.

2. საწარმოო პრაქტიკა ტარდება ინსტიტუტებში, დაწესებულებებში, წარმოებებსა და სასწავლებლებში, აგრეთვე სკოლაში მოწყობილი ლექციების ჩაწერის გზით.

3. პრაქტიკის ადგილის არჩევასა და დროის განსაზღვრას სკოლის დირექცია წინასწარ უთანხმებს სათანადო დაწესებულებებს.

4. მოსწავლე—პრაქტიკანტის სამუშაო ადგილის ორგანიზაციასა და მოწყობას უზრუნველჰყოფს დაწესებულება, სადაც საწარმოო პრაქტიკა ტარდება.

5. საწარმოო პრაქტიკას გაივლის სკოლის ყველა მოსწავლე სწავლების მე-2 წელს (მე-4 სემესტრი) და სწავლების მე-3 წელს (მე-5 სემესტრი) მეცადინეობისაგან მოუწყვეტლივ.

6. მოსწავლეები, რომლებიც მეცადინეობენ სკოლაში წარმოებისაგან მოუწყვეტლად, საწარმოო პრაქტიკას გაივლიან სკოლაში სასწავლო საათებში მოწყობილი ლექციების ჩაწერისა და გარდა ამისა, მუშაობის ადგილზე—დაწესებულებაში ერთი კრების ან სხდომის დასტენოგრამების გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ადგილებზე განრიგება (განაწილება) ტარდება სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერის მასწავლებელთა მიერ.

8. ორწლიანი განყოფილების მოსწავლეები პრაქტიკას გადიან სტენოგრამის მომდევნო გაშიფვრით, სამწლიანის კი როგორც დაუყოვნებლივი, ისე მომდევნო გაშიფვრით.

9. დასტენოგრამება სტენოგრამის დაუყოვნებლივი გაშიფვრით წარმოებს 8 კაცისაგან შემდგარი ბრიგადის მიერ, გათვალისწინებულია რვაცვლიანი მუშაობა დასტენოგრამების ხანგრძლივობით ცვლაზე 10 წუთის განმავლობაში.

თითოეულ ბრიგადას ხელმძღვანელობს მოსწავლეთაგან გამოყოფილი ბრიგადირი, რომელიც პასუხს აგებს თავისი ბრიგადის მუშაობის ორგანიზაციაზე და აწარმოებს დასტენოგრამების დროის აღრიცხვას.

10. წესდება სტენოგრაფიული პრაქტიკის შემდეგი მოცულობა:

ა) სამწლიანი განყოფილებისათვის—ორატორის სიტყვის ჩაწერა ორ ცვლაში (თითო 10 წუთი) დაუყოვნებლივი ვაშიფვრით და დასტენოგრამება მომდევნო გაშიფვრით. საერთო ჯამში—არანაკლებ 30 წუთისა;

ბ) მეორე კურსისათვის—დასტენოგრამება ხანგრძლივობით არანაკლებ 30 წუთისა მომდევნო გაშიფვრით.

11. სტენოგრამათა გაშიფვრა წარმოებს საწერ მანქანაზე თვითონ მოსწავლე-პრაქტიკანტების მიერ წერის ტექნიკის ყველა მოთხოვნისა და მანქანაზე შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის დაცვით.

12. პრაქტიკანტების მიერ გაშიფვრათა სწორ გაფორმებას თვალყურს ადევნებენ სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებლები.

საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობა

13. საწარმოო პრაქტიკის საერთო სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერის მეთოდგაერთიანება, ორგანიზაციულს კი—სკოლის დირექტორი.

14. წინასწარ, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე, სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებლები ჯგუფებში (მე-4 და

მე-5 სემესტრი) ატარებენ საუბრებს, რომლებშიაც მოსწავლეებს ეძლევათ ამომწურავი მეთოდური მითითებანი მათ მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო პრაქტიკის აღრიცხვა

15. მოსწავლეთა სტენოგრამები და გაშიფრული მასალა უნდა გადაათვალიერონ სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებლებმა საწარმოო პრაქტიკის პროცესში.

16. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ მოსწავლე-პრაქტიკანტებმა სტენოგრამები და გაშიფრული მასალა უნდა ჩააბარონ მასწავლებლებს.

17. სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებლები ჩაუთვლიან მოსწავლეებს საწარმოო პრაქტიკის შესრულებას სტენოგრაფიული და მანქანაზე ნამუშევრების რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით.

18. თუ საწარმოო პრაქტიკა ტარდებოდა საბჭოთა დაწესებულებაში, მაშინ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გაშიფვრებისა და სტენოგრამების გადათვალიერების შემდეგ, სასურველია მივიღოთ წერილობითი დასკვნა დასტენოგრამების ხარისხის შესახებ.

19. საწარმოო პრაქტიკის გავლა აღინიშნება მოწმობებში სკოლის დამთავრების შემდეგ.

პრაქტიკის დასახელება	პრაქტიკის პერიოდი	სემესტრები	პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ დახარჯული დრო თითოეულ მოსწავლე-პრაქტიკანტზე, ცალკეულ დისციპლინათა მიხედვით პრაქტიკის პერიოდში
საწარმოო	1 მარტიდან	მეოთხე და	1. სტენოგრაფია—30 წ.
პრაქტიკა	15 მაისამდე	მეხუთე	2. მანქანაზე წერა—15 წ.

პრაქტიკის შედეგები

20. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებლები მოსწავლეთა ჯგუფურ კრებებზე მსჯელობენ საწარმოო პრაქტიკის შედეგებზე.

21. მასწავლებელთა ანგარიშგება მოსწავლეთა მიერ საწარმოო პრაქტიკის შესრულების შესახებ მოისმინება სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი
1963 წლის 23 აპრილი

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში გამოსაშვები გამოცდების შესახებ

1. სტენოგრაფიის განყოფილება

I. საორგანიზაციო ნაწილი

1. საგამოცდო კომისია შედგება: დირექტორის ან სასწავლო ნაწილის გამგის (თავმჯდომარე), სათანადო საგნის, აგრეთვე ენის მასწავლებლებისა და ასისტენტისაგან (სტენოგრაფიის მასწავლებელთა რიცხვიდან).

2. გამოსაშვებ გამოცდებზე სტენოგრაფიაში მეორე და მესამე კურსის მოსწავლეები დაიშვებიან ამ საგანში საგამოცდო სისწრაფის ჩათვლისა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

3. გამოცდები უნდა ჩატარდეს ტექსტების ჩაწერასა და დაშიფვრაში პროგრამით გათვალისწინებულ თემებზე, ყველა სისწრაფეზე სამწუთიანი სხვადასხვა შინაარსის ორი ტექსტის კარნახით, ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეორე დარგობრივი.

4. სტენოგრაფიაში უმაღლესი კვალიფიკაციის მისანიჭებლად ჩატარდება შემდეგი გამოცდები:

ა) კარნახით ჩაწერა წუთში 110 სიტყვის სისწრაფით ქართულ სექტორზე, რუსულ სექტორზე კი—120 სიტყვის სისწრაფით;

ბ) ორი ორატორის სიტყვის ჩაწერა, ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიურ თემაზე, მეორე—ლიტერატურულზე.

ორი ორატორის სიტყვის ჩაწერაში გამოცდის წესი შემდეგია:

თვითეული ორატორის სიტყვის ჩასაწერად გამოიყოფა ცალკე დღე.

ორატორი ლაპარაკობს განუწყვეტლივ ათი წუთის განმავლობაში. გამოსაცდელებთან ერთდროულად ორატორის სიტყვას ასტენოგრამებს უმაღლესი კვალიფიკაციის ორი გამოცდილი სტენოგრაფი.

გამოსაცდელებს მოეთხოვებათ ორატორების სიტყვის სიტყვა-სიტყვით ჩაწერა და ამოშიფვრა.

სტენოგრამის სტილისტიკურად დამუშავების ჩვევების შემოწმების მიზნით, გამოსაცდელებმა სტილისტიკურად შესასწორებელ წინადადებებში სიტყვა-სიტყვით ჩაწერილი ტექსტის გვერდით ფრჩხილებში უნდა ჩაწერონ რედაქტირებული ვარიანტი.

5. წერითი სამუშაოებისათვის საგამოცდო ტექსტები შეირჩევა სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მიერ და დასამტკიცებლად გადაეცემა განათლების სამინისტროს. დაბეჭდილ კონვერტში დამტკიცებული ტექსტები დაუბრუნდება სკოლას არა უგვიანეს სამი დღისა, საგამოცდო სესიამდე და გადაეცემა საგამოცდო კომისიას ერთი საათით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

სისწრაფეზე ყველა გამოცდისათვის შერჩეული უნდა იქნეს სამი ტექსტი: ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო. სათადარიგო ტექსტის კარნახი მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ ერთ-ერთი საგამოცდო ტექსტის კარნახი დარღვეული იყო რაიმე მიზეზით (მაგალითად, მოკარნახის მიერ საკარნახოდ გამოყოფილი ვადის გადაცილება).

ჯგუფებში, რომლებშიც ერთდროულად ტარდება გამოცდა, ნებადართულია ერთიდაიგივე საგამოცდო ტექსტების კარნახი.

6. წერითი გამოცდისათვის თვითეულ გამოსაცდელს ეძლევა ხაზიანი ქაღალდი სკოლის შტამპით.

ქაღალდის სატიტულო ფურცელზე გამოსაცდელმა უნდა დაწეროს რა სისწრაფეზე ტარდება საგამოცდო სამუშაო, თავისი გვარი, სახელი და მამის სახელი, ჯგუფის დასახელება და გამოცდის ჩატარების თარიღი.

7. გამოცდები იწყება რაიმე ტექსტის ორ-სამწუთიანი სავარჯიშო კარნახით, რაც ჩაიწერება უშტამპო ქაღალდზე, მაგრამ არ დაიშიფრება და საგამოცდო კომისიას არ ჩაბარდება.

სავარჯიშო კარნახის შემდეგ ტარდება ორი საგამოცდო ტექსტის კარნახი, მათ შორის ორი-სამი წუთის შესვენებით.

საგამოცდო ტექსტების დასაშიფრად გათვალისწინებული იქნება გარკვეული დრო კარნახის დამთავრების მომენტიდან:

90	სიტყვის	სისწრაფეზე	წუთში	სამწუთიანი	ორი ტექსტისათ.	3 ა/ს
100	„	„	„	„	„	3—4 ა/ს
110	„	„	„	„	„	4 ა/ს
120	„	„	„	„	„	4 ა/ს

თვითეული ორატორის 10-წუთიანი სიტყვის ჩაწერის ამოსაშიფრად განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათი.

საგამოცდო სტენოგრამა და მისი ამოშიფვრა დაწერილი უნდა იყოს მელნით.

საგამოცდო სამუშაოს ხელმეორედ გადაწერა დაუშვებელია (სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით).

გამოსაცდელი ვალდებულია კომისიას ჩააბაროს სამუშაო იმ შემთხვევაშიც კი, როცა გრძნობს, რომ იგი შესრულებულია არადამაკმაყოფილებლად.

8. საგამოცდო ტექსტის სიტყვების დათვლა სწარმოებს სასწავლო ნაწილის გამგის მიერ.

ამასთან:

ა) დეფისით გაყოფილი სიტყვები ცალ-ცალკე დაითვლება, მაგ. იდეურ-პოლიტიკური, სწავლა-განათლება, სასწავლო-აღმზრდელობითი (ორ-ორი სიტყვაა);

ბ) სიტყვების დათვლა რიცხვებით ნაწერში ხდება გამოთქმის მიხედვით; მაგ. ათი (10) ერთი სიტყვაა, თორმეტი (12) ერთი სიტყვაა, ოცდაშვიდი (27) ორი სიტყვაა, ხუთი ათას თორმეტი (50/12) სამი სიტყვაა;

გ) საწყისი ასოებიდან შემდგარი შემოკლებული სიტყვები დაითვლება პირობით, შემდეგნაირად: სიტყვის ასოთა რიცხვი იყოფა ორზე, მიღებული განაყოფი გვიჩვენებს სიტყვის რაოდენობას, მაგალითად, სსრკ ორი სიტყვაა, განაყოფის ნაწევრით მიღების შემთხვევაში ნახევარი ითვლება მთელ სიტყვად; მაგალითად, რსფსრ—სამი სიტყვაა;

დ) ორ და მეტფუძიანი რთული სიტყვები დაითვლება ფუძეების რაოდენობის მიხედვით;

ე) მარტივი თანდებულები და ნაწილაკები დაითვლება ცალკე სიტყვებად.

2. საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება

კარნახით შესრულებული საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება ხდება გამოსაცდელთა მიერ გაშიფრული სტენოგრამის ზუსტი შედარებით ნაკარნახევ საგამოცდო ტექსტებთან.

ორატორების სიტყვების ჩაწერაში საგამოცდო სამუშაოების შემოწმება ხდება მოსწავლეთა მიერ გაშიფრული სტენოგრამის ზუსტი შედარებით გაშიფრულ საკონტროლო სტენოგრამასთან, რომელიც ჩაწერილია უმაღლესი კვალიფიკაციის გამოცდილი სტენოგრაფების მიერ (ინსტრუქციის მეოთხე პუნქტი). საეჭვო შემთხვევაში შევადარებთ არა მარტო გაშიფრულ მასალას, არამედ თვით სტენოგრამასაც.

იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო სტენოგრამები არ შეესაბამება მოსწავლეთა უმრავლესობის ნამუშევრებს, სტენოგრამის განსხვავებული ადგილების სიზუსტე დადგენილ უნდა იქნეს თვით ორატორის მიერ.

10. შეცდომად ითვლება:

ა) სიტყვის გამოტოვება;

ბ) ზედმეტი სიტყვა, აზრის დამამახინჯებელი;

გ) სიტყვის შეცვლა აზრის დამამახინჯებელი სიტყვით;

დ) სიტყვის არასწორი დაბოლოება;

ე) ორთოგრაფიული შეცდომა (მორფოლოგიური ან პუნქტუაციური).

შენიშვნა: შეთანხმებულ სიტყვებში არასწორი დაბოლოებები ითვლება ერთ შეცდომად.

3. საგამოცდო ნამუშევრების შეფასება

11. ნამუშევარი ფასდება ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემის მიხედვით.

12. ნამუშევრები სისწრაფეზე კარნახში შეფასდება შემდეგი შკალის მიხედვით:

ა) ნამუშევრები შეფასდება ნიშნით „5“ (ფრიადი) თუ ორ-სამწუთიან გაშიფრულ ტექსტში

90	სიტყვის	სისწრაფეზე	წუთში,	დაშვებ.	არა	უმეტეს	4	შეცდომისა
100	„	„	„	„	„	„	5	„
110	„	„	„	„	„	„	5	„
120	„	„	„	„	„	„	6	„

ბ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „4“ (კარგი), თუ გაშიფრულ ტექსტში

90	სიტყვის	სისწრაფეზე	წუთში,	დაშვებ.	არა	უმეტეს	8	შეცდომისა
100	„	„	„	„	„	„	10	„
110	„	„	„	„	„	„	12	„
120	„	„	„	„	„	„	14	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „3“ (დამაკმაყოფილებელი), თუ გაშიფრულ ტექსტში,

90 სიტყვის სისწრაფეზე წუთში, დაშვებ. არა უმეტეს 20 შეცდომისა;
100 „ „ „ „ „ „ 23 „
110 „ „ „ „ „ „ 25 „
120 „ „ „ „ „ „ 27 „

დ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „2“, თუ გაშიფრულ ტექსტში,

90 სიტყვის სისწრაფეზე წუთში, დაშვებ. არა უმეტეს 28 შეცდომისა;
100 „ „ „ „ „ „ 30 „
110 „ „ „ „ „ „ 33 „
120 „ „ „ „ „ „ 35 „

ე) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „1“ (ძლიერ ცუდი), თუ გაშიფრულ ტექსტში

90 სიტყვის სისწრაფეზე დაშვებულია 28 შეცდომაზე მეტი;
100 „ „ „ „ „ „ 30 „
110 „ „ „ „ „ „ 33 „
120 „ „ „ „ „ „ 35 „

13. ნამუშევრები ორატორების სიტყვების ჩაწერაში ფასდება შემდეგი შკალის მიხედვით:

ა) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „5“ (ფრიადი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფრულ მასალაში დაშვებულია არა უმეტეს 8 შეცდომისა;

ბ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „4“ (კარგი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფრულ მასალაში დაშვებულია არა უმეტეს 15 შეცდომისა;

გ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „3“ (დამაკმაყოფილებელი) თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფრულ მასალაში დაშვებულია არა უმეტეს 30 შეცდომისა;

დ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „2“ (ცუდი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფრულ მასალაში დაშვებულია არა უმეტეს 40 შეცდომისა;

ე) ნამუშევარი ფასდება ნიშნით „1“ (ძლიერ ცუდი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფრულ მასალაში დაშვებულია 40-ზე მეტი შეცდომა;

ორატორების სიტყვების ჩაწერილ ორივე ნამუშევარზე წარიდგინება ერთი საშუალო შეფასება სტენოგრამის გამართვის (რედაქტირების) ხარისხის გათვალისწინებით.

14. ნამუშევრების შეფასებისას საგამოცდო კომისიამ უნდა

გაითვალისწინოს არა მარტო რაოდენობა, არამედ შეცდომების ხარისხიც.

შენიშვნა: სტენოგრაფიული და ორთოგრაფიული შეცდომები დაითვლება ცალ-ცალკე, შეფასება კი ხდება ორივე ხასიათის შეცდომების ჯამის მიხედვით.

4. კვალიფიკაციის მინიჭება

15. საგამოცდო წერითი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ დგება საგამოცდო უწყისი გამოსაცდელთა თვითეულ ჯგუფზე.

მხოლოდ სისწრაფეზე კარნახში გამოსაცდელი ჯგუფებისათვის უწყისში აღინიშნება გამოსაცდელთა გვარი და ინიციალები, კარნახი სისწრაფეზე, წყარო და ნაკარნახევი ტექსტების დასახელება, ნამუშევრების შეფასება და საგამოცდო კომისიის დასკვნა კვალიფიკაციის შესახებ სტენოგრაფიაში ფორმა (№ 2).

საბოლოო შეფასებად მიიღება ორივე სახის ნამუშევარის შეფასების ნიშნების ჯამი გაყოფილი ორზე. ნაწევრიანი განაყოფის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წუთში 120 სიტყვის სისწრაფეზე კარნახით ჩაწერილი ნამუშევრების შეფასებას.

16. მოსწავლეები, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე სისწრაფეზე კარნახში ან ორატორების სიტყვების ჩაწერაში მიიღებენ შეფასებას „2“, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება დაშვებულ იქნენ განმეორებით გამოცდაზე იმავე სავამოცდო სესიის პერიოდში.

17. მოსწავლეები, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე სისწრაფეზე კარნახში და ორატორების სიტყვების ჩაწერაში მიიღებენ „2“-ს ან ერთ-ერთ მათგანში—„1“-ს, განმეორებით გამოცდებზე არ დაიშვებიან.

18. მოსწავლეებს, რომლებმაც შეასრულეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ჩააბარეს შესაბამისი გამოცდები, ენიჭებათ კვალიფიკაცია:

ა) მათ, ვინც ჩააბარა გამოცდა წუთში 90 სიტყვ. სისწრაფით— — მდივან-სტენოგრაფისა

ბ) „ „ „ „ „ 100 სიტ. სისწრაფით—სტენოგრაფისა

გ) „ „ „ „ „ 110 სიტ. სისწრაფით—სტენოგრაფის

დ) „ „ „ „ „ 120 სიტ. სისწრაფით და ორატორების სიტყვების ჩაწერაში—უმაღლესი კვალიფიკაციის სტენოგრაფი.

კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სკოლის საბჭოს მიერ სასწავლო გეგმით მოცემულ დანარჩენ საგნებში ჩატარებული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. მანქანაზე წერის განყოფილება

მანქანაზე წერაში გამოსაშვები გამოცდებისათვის დადგენილია სამუშაოს სამი სახე: ა) წერა სისწრაფეზე, ბ) ცხრილის გაფორმება და გ) წერილის განლაგება.

საწერ მანქანაზე სამივე სახის სამუშაოს შესასრულებლად მოცემულია 4 აკადემიური საათი.

შენიშვნა: მანქანათმცოდნეობაში ტარდება განსაკუთრებული ზეპირი გამოცდა.

რესპუბლიკური სკოლის მანქანაზე წერის განყოფილების საგნის მასწავლებლები გამოცდების დაწყებამდე ორი დღით ადრე ადგენენ მანქანაზე წერის საგამოცდო მასალას, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

მუშაობა ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

წერა სისწრაფეზე

სისწრაფეზე მუშაობას წინ უძღვის 30 წუთიანი ვარჯიში, რასაც მოჰყვება სისწრაფის შემოწმება. სისწრაფეზე მუშაობა წარმოებს საწერ მანქანაზე დაბეჭდილი ორი სხვადასხვა ტექსტიდან, თითოეული მასალა მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ხუთ წუთში.

სისწ. 180	და	მეტი	დარტყ.	1	წუთში	0—2	შეცდომით	შეფასდება „5“
„	„	„	„	„	„	3—4	„	„ „4“
„	„	„	„	„	„	5—6	„	„ „3“
„ 150—179	„	„	„	„	„	0	„	„ „5“
„	„	„	„	„	„	1—2	„	„ „4“
„	„	„	„	„	„	3—5	„	„ „3“
„ 130—149	„	„	„	„	„	0—1	„	„ „4“
„	„	„	„	„	„	2—5	„	„ „3“

სამუშაო ითვლება არადამაკმაყოფილებლად 1 წუთში 130 დარტყმაზე ნაკლები სისწრაფისა, შესრულებული 6-ზე მეტი შეცდომით.

მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფებისათვის

სისწ. 160	და	მეტი	დარტყ.	1	წუთში	0—2	შეცდომით	შეფასდება „5“
„	„	„	„	„	„	3—4	„	„ „4“
„	„	„	„	„	„	5—6	„	„ „3“

სისწრაფე 140—159 დარტყ. წუთში 0 „ „ „5“
„ „ „ „ „ „ 1—2 „ „ „4“
„ „ „ „ „ „ 3—5 „ „ „3“
„ 115—139 „ „ „ „ 0—1 „ „ „4“
„ „ „ „ „ „ 2—5 „ „ „3“

1 წუთში 115 დარტყმაზე ნაკლები სისწრაფის სამუშაო ითვლება არადამაკმაყოფილებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა ცხრილებზე

ცხრილის გასაფორმებლად მოცემულია საშუალო სირთულის ციფრობრივი მასალა 1/2 გვერდის მოცულობით. ცხრილი უნდა იყოს სათანადოდ დახაზული და სწორი ხაზებით შემოფარგლული. საწერ მანქანაზე სამუშაოს შესრულების ვადაა 45 წუთი და ფასდება შემდეგი შკალით:

თუ სამუშაოში 0—1 შეცდომაა, ფასდება . . . „5“
„ „ 2—3 „ „ . . . „4“
„ „ 4—5 „ „ . . . „3“

სამუშაო, რომლის შესრულებას დაწესებული დრო არ ეყო, თანაც მასში 5 შეცდომაზე მეტია დაშვებული, ფასდება არადამაკმაყოფილებლად.

წერილის განლაგება

წერილის განლაგებისათვის მოსწავლეებს ეძლევათ დაბეჭდილი ერთიანი გადაბმული ტექსტი (მოცულობით არანაკლებ 15 სტრიქონისა). წერილის გასაფორმებლად მანქანაზე წერის დროს უნდა იყოს დაცული ტექნიკური წესები (გრამატიკული შეცდომების დაუშვებლად).

წერილი, შესრულებული უშეცდომოდ,—შეფასდება ნიშნით „5“
„ „ 1—2 შეც. „ „ „4“
„ „ 3—5 „ „ „ „3“

სამუშაო ჩაითვლება არადამაკმაყოფილებლად, თუ მასში დაშვებულია 5 შეცდომაზე მეტი და შესრულების ვადა გადაცილებულია (ვადა 45 წუთი).

მანქანაზე წერაში საბოლოოდ იწერება ერთი ნიშანი (სამივე სახის სამუშაოს შეფასების საფუძველზე მიღებული საშუალო).

შენიშვნა: 1. საწერ მანქანაზე სამუშაოს შესრულების დროს არ დაიშვება:

ა) გადარტყმები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ამოშლა;

გ) ტექსტის მეორედ გადაწერა.

2. სამუშაო სრულდება შტამპიან ქაღალდზე.

საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება სტენოგრაფიაში

1. გამოსაშვებ გამოცდებზე სტენოგრაფიაში მოსწავლეები დაიშვებიან სტენოგრაფიაში საგამოცდო სისწრაფის ჩათვლისა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

2. გამოცდები უნდა ჩატარდეს ტექსტების ჩაწერასა და დაშიფვრაში პროგრამით გათვალისწინებულ თემებზე, ყველა სისწრაფეზე სამწუთიანი სხვადასხვა შინაარსის ორი ტექსტის კარნახით, წუთში რუსული სექტორისათვის 80, ქართული სექტორისათვის კი 70 სიტყვის რაოდენობით.

3. წერითი სამუშაოებისათვის საგამოცდო ტექსტები შეირჩევა სასწავლო ნაწილის გამგის მიერ დირექტორთან ერთად და გადაეცემა განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად. დამტკიცებული ტექსტები დაბეჭდილ კონვერტში დაუბრუნდება სკოლას არა უგვიანეს სამი დღისა საგამოცდო სესიამდე და გადაეცემა საგამოცდო კომისიას ერთი საათით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

სისწრაფეზე გამოცდებისათვის შერჩეული იქნება ორი ტექსტი: ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო. სათადარიგო ტექსტის კარნახი მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ ერთ-ერთი საგამოცდო ტექსტის კარნახი დარღვეული იყო რაიმე მიზეზით (მაგალითად, მოკარნახის მიერ საკარნახოდ გამოყოფილი ვადის გადაცილებით).

ჯგუფებში, რომლებშიც ერთდროულად ტარდება გამოცდა, ნებადართულია ერთიდაიგივე საგამოცდო ტექსტის კარნახი.

4. წერითი გამოცდისათვის თვითეულ გამოსაცდელს ეძლევა ხაზიანი ქაღალდი სკოლის შტამპით.

ქაღალდის სატიტულო ფურცელზე გამოსაცდელმა უნდა დაწეროს, რა სისწრაფეზე ტარდება საგამოცდო სამუშაო, თავისი გვარი, სახელი და მამის სახელი, ჯგუფის დასახელება და გამოცდის ჩატარების თარიღი.

5. გამოცდები იწყება რაიმე ტექსტის ორ სამწუთიანი სავარჯიშო კარნახით, რაც ჩაიწერება უშტამპო ქაღალდზე, მაგრამ არ დაიშიფრება და საგამოცდო კომისიას არ ჩაბარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარჯიშო კარნახის შემდეგ ტარდება ერთი საგამოცდო ტექსტის კარნახი.

საგამოცდო ტექსტის დასაშიფრად გათვალისწინებული იქნება გარკვეული დრო კარნახის დამთავრების მომენტიდან:

80 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (სამწუთიანი ერთი ტექსტისათვის), 2 ასტრონომიული საათი (რუსული სექტორისათვის).

70 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (სამწუთიანი ერთი ტექსტისათვის), 2 ასტრონომიული საათი (ქართული სექტორისათვის).

საგამოცდო სტენოგრამა და მისი ამოშიფვრა დაწერილი უნდა იყოს მელნით.

სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების მიზნით საგამოცდო სამუშაოს ხელმეორედ გადაწერა დაუშვებელია.

გამოსაცდელი ვალდებულია კომისიას ჩააბაროს სამუშაო იმ შემთხვევაშიც კი, როცა გრძნობს, რომ იგი შესრულებულია არადამაკმაყოფილებლად.

6. საგამოცდო ტექსტის სიტყვების დათვლა სწარმოებს სასწავლო ნაწილის გამგის მიერ.

ამასთან:

ა) დეფისით გაყოფილი სიტყვები ცალ-ცალკე დაითვლება. მაგ. იდეურ-პოლიტიკური, სწავლა-განათლება, სასწავლო-აღმზრდელობითი (ორ-ორი სიტყვაა).

ბ) სიტყვების დათვლა რიცხვებით ნაწერში ხდება გამოთქმის მიხედვით. მაგ. ათი (10) ერთი სიტყვაა, თორმეტი (12) ერთი სიტყვაა, ოცდაშვიდი (27) ორი სიტყვაა, ხუთი ათას თორმეტი (5012) სამი სიტყვაა.

გ) საწყისი ასოებიდან შედგენილი შემოკლებული სიტყვები დაითვლება პირობით შემდეგნაირად: სიტყვის ასოთა რიცხვი იყოფა ორზე, მიღებული განაყოფი გვიჩვენებს სიტყვათა რაოდენობას. მაგალითად, სსრკ ორი სიტყვაა. განაყოფის ნაწევრით მიღების შემთხვევაში ნახევარი ითვლება მთელ სიტყვად. მაგალითად, რსფსრ—სამი სიტყვაა.

დ) ორი და მეტ ფუძიანი რთული სიტყვები დაითვლება ფუძეების რაოდენობის მიხედვით.

საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება

7. კარნახით შესრულებული საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება ხდება გამოსაცდელთა მიერ გაშიფრული სტენოგრამის ზუსტი შედარებით ნაკარნახევ საგამოცდო ტექსტებთან.

ორატორების სიტყვების ჩაწერაში საგამოცდო სამუშაოების შემოწმება ხდება მოსწავლეთა მიერ გაშიფრული სტენოგრამის ზუსტი შედარებით გაშიფრულ საკონტროლო სტენოგრამასთან, რომელიც ჩაწერილია უმაღლესი კვალიფიკაციის გამოცდილი სტენოგრაფების მიერ (ინსტრუქციის მეოთხე პუნქტი). საეჭვო შემთხვევაში შევადარებთ არა მარტო გაშიფრულ მასალას, არამედ თვით სტენოგრამასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო სტენოგრამა არ შეესაბამება მოსწავლეთა უმრავლესობის ნამუშევრებს, სტენოგრამების განსხვავებული ადგილების სიზუსტე დადგენილ უნდა იქნეს თვით მოლაპარაკე ორატრრის მიერ.

8. შეცდომად ითვლება:

ა) სიტყვის გამოტოვება;

ბ) აზრის დამამახინჯებელი ზედმეტი სიტყვა;

გ) სიტყვის შეცვლა აზრის დამამახინჯებელი სიტყვით;

დ) სიტყვის არასწორი დაბოლოება;

ე) ორთოგრაფიული (მორფოლოგიური ან პუნქტუაციური) შეცდომა.

შენიშვნა: შეთანხმებულ სიტყვებში არასწორი დაბოლოებები ითვლება ერთ შეცდომად.

საგამოცდო ნამუშევრების შეფასება

9. ნამუშევარი ფასდება ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემით.

10. ნამუშევრები სისწრაფეზე კარნახში შეფასდება შემდეგი შკალის მიხედვით:

ა) ნამუშევრები შეფასდება ნიშნით—„5“ (ფრიადი), თუ ორ-სამწუთიან გაშიფრულ ტექსტში 80 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არა-უმეტეს 3 შეცდომისა (რუსული სექტორისათვის).

ნამუშევრები შეფასდება ნიშნით—„5“ (ფრიადი), თუ ორ-სამწუთიან გაშიფრულ ტექსტში 70 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არაუმეტეს 3 შეცდომისა (ქართული სექტორისათვის).

ბ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„4“ (კარგი), თუ გაშიფრულ ტექსტში 80 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არაუმეტეს 6 შეცდომისა (რუსული სექტორისათვის).

ან 70 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არაუმეტეს 6 შეცდომისა (ქართული სექტორისათვის).

გ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„3“ (დამაკმაყოფილებელი), თუ გაშიფრულ ტექსტში 80 სიტყვის სისწრაფით წუთში დაშვებულია არაუმეტეს 15 შეცდომისა (რუსული სექტორისათვის).

ან 70 სიტყვის სისწრაფით წუთში დაშვებულია არაუმეტეს 15 შეცდომისა (ქართული სექტორისათვის);

დ) ნამუშევარი ფასდება ნიშით—„2“ (ცუდი), თუ გაშიფრულ ტექსტში 80 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არაუმეტეს 25 შეცდომისა (რუსული სექტორისათვის).

ან 70 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არაუმეტეს 25 შეცდომისა (ქართული სექტორისათვის).

ე) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„1“ (ძლიერ ცუდი), თუ გაშიფრულ ტექსტში 80 სიტყვის სისწრაფეზე დაშვებულია 25 შეცდომაზე მეტი (რუსული სექტორისათვის).

ან 70 სიტყვის სისწრაფეზე დაშვებულია 25 შეცდომაზე მეტი (ქართული სექტორისათვის).

11. მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფებისათვის სტენოგრაფიაში სისწრაფეზე წერის ნორმა 10 სიტყვით ნაკლებია:

ქართული სექტორისათვის—წუთში 60 სიტყვის სისწრაფით წერა, რუსული სექტორისათვის—70 სიტყვის სისწრაფით.

შეფასების ნორმები რჩება იგივე—შეფარდებითი.

12. ნამუშევრების შეფასებისას საგამოცდო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს არამარტო რაოდენობა, არამედ შეცდომების ხარისხიც.

შენიშვნა: სტენოგრაფიული და ორთოგრაფიული შეცდომები დაითვლება ცალ-ცალკე, შეფასება კი ხდება ორივე ხასიათის შეცდომების ჯამის მიხედვით.

კვალიფიკაციის მინიჭება

13. საგამოცდო წერითი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ დგება საგამოცდო უწყისი გამოსაცდელთა თითოეულ ჯგუფზე. გამოსაცდელი ჯგუფებისათვის უწყისში აღინიშნება გამოსაცდელთა გვარი და ინიციალები, კარნახის სისწრაფე, წყარო და ნაკარნახევი ტექსტების დასახელება, ნამუშევრის შეფასება და საგამოცდო კომისიის დასკვნა კვალიფიკაციის შესახებ.

14. მოსწავლეები, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებენ შეფასებას—„2“, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით, შეიძლება დაშვებულ იქნენ განმეორებით გამოცდაზე იმავე საგამოცდო სესიის პერიოდში.

15. მოსწავლეები, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებენ „1“-ს განმეორებით გამოკდებზე არ დაიშვებიან.

16. მოსწავლეებს, რომლებმაც შეასრულეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ჩაბარეს შესაბამისი გამოცდები, ენიჭებათ მდივან-მემანქანის კვალიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1963 წლის 8 მარტი

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

გამოცდების ექსტერნად ჩაბარების შესახებ

§ 1. გამოცდები ექსტერნებისათვის ტარდება რვაწლიანი სკოლის ან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცალკეული კლასების (V, VI, VII, IX და X) კურსის ფარგლებში.

§ 2. ექსტერნატის წესით რვაწლიანი სკოლის კურსის დასამთავრებელ გამოცდებზე დაიშვებიან 16 წელზე მეტი ასაკის მოზარდნი, რომელთაც სკოლაში არ უსწავლიათ ან იგი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ სურვილი აქვთ მიიღონ რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა.

შენიშვნა: ექსტერნის წესით რვაწლიანი სკოლის კურსის დასამთავრებელ გამოცდებზე არ შეიძლება დაშვებულ იქნენ ის მოზარდები, რომელთაც შეუსრულდათ 16 წელი, მაგრამ სწავლობენ რვაწლიანი და საშუალო სკოლების V, VI, VII კლასებში.

§ 3. ექსტერნატის წესით საშუალო განათლების ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 18 წელზე მეტი ასაკის ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ ან იგი არ დაუმთავრებიათ და სკოლიდან გასულნი არიან საპატიო მიზეზით ერთი და მეტი წლის წინათ, მაგრამ სურვილი აქვთ მიიღონ საშუალო განათლება.

შენიშვნა: ექსტერნატის წესით საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდების ჩაბარების უფლება არ მიეცემათ:

ა) იმ პირთ, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი, მაგრამ სწავლობენ საშუალო სკოლებში ან სპეციალურ ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში;

ბ) იმ პირთ, რომლებიც ერთ წელზე მეტია რაც არ სწავლობენ, მაგრამ გამოცდებზე დაშვების შემთხვევაში გაუსწრებენ იმ

კლასის მოსწავლეებს, რომელშიც უკანასკნელად სწავლობდნენ ან უნდა ესწავლათ.

§ 4. ექსტერნატის წესით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცალკეული კლასების (V, VI, VII, IX, X) კურსის ფარგლებში გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ საწარმოო მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი, სკოლაში უსწავლიათ, გასულნი არიან სკოლიდან ორი და მეტი წლის წინათ და სურთ იქონიონ ამა თუ იმ კლასის დამთავრების მოწმობა.

§ 5. გამოცდების ექსტერნად ჩამბარებელთათვის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა (სადაც განათლების განყოფილებები არსებობს) და რაიონების განათლების განყოფილებები გამოყოფენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს და მათ სიას დასამტკიცებლად უგზავნიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს არა უგვიანეს 15 მაისისა.

§ 6. ექსტერნები გამოცდებს აბარებენ ან ერთ ვადაში, ან ნაწილ-ნაწილ—რამდენიმე ვადაში, მაგრამ არა უმეტეს 2 წლისა.

განვადებით გამოცდების ჩაბარების უფლება ეძლევათ მხოლოდ ისეთ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ საწარმოო შუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი.

§ 7. ის პირნი, რომლებიც გამოცდებს აბარებენ ერთ ვადაში, გამოცდებს ჩააბარებენ 30 მაისიდან 25 ივნისამდე ჩათვლით.

საწარმოო სტაჟის მქონე ექსტერნებს, რომლებიც გამოცდებს აბარებენ ნაწილ-ნაწილ (ცალკეული საგნების მიხედვით) შეუძლიათ ყოველწლიურად ჩააბარონ გამოცდები შემდეგ ვადებში: 30 მაისიდან 22 ივნისამდე; 20-დან—31 აგვისტომდე; 2-დან—10 იანვრამდე. ამასთანავე ექსტერნები ყველა დადგენილ გამოცდას აბარებენ ერთსა და იმავე სკოლაში. იმ შემთხვევაში, თუ ეს რაიმე საპატიო მიზეზის გამო (საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და სხვ.) შეუძლებელია, ექსტერნს ეძლევა დირექტორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედასმული ცნობა, სადაც აღნიშნული იქნება სკოლა, რომელშიაც აბარებდა ექსტერნი გამოცდებს, ჩაბარების დრო (წელი და თვე), ექსტერნის მიერ ჩაბარებული საგნები, აგრეთვე ის, თუ რომელი კლასის კურსის ფარგლებში აბარებდა გამოცდებს და რა ნიშნები აქვს მიღებული თითოეულ საგანში.

ამ ცნობის საფუძველზე ექსტერნს შეუძლია ჩააბაროს დარჩენილი გამოცდები და, მათი ჩაბარების შემთხვევაში, მიიღოს განათლების სათანადო საბუთი (დოკუმენტი) სხვა სკოლაში.

§ 8. საწარმოო სტაჟის მქონე იმ პირებმა, რომელთაც სურთ

ექსტერნად ჩაბარონ გამოცდები, ამის შესახებ საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება უნდა შეიტანონ არა უგვიანეს 15 მაისისა, 20 ივლისისა, 1 დეკემბრისა რესპუბლიკური დაქვემდებარებისა ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებში.

შენიშვნა: საწარმოო სტაჟის არ მქონე პირთ განცხადებები შეაქვთ მხოლოდ 15 მაისამდე.

§ 9. განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები: რომელი კლასის კურსის ფარგლებში სურს ჩაბარება აღნიშნულ პირს; ერთ ვადაში, თუ ნაწილ-ნაწილ ჩააბარებს გამოცდებს; თუ ნაწილ-ნაწილ, რა ვადებში და რომელ საგანში, როდისთვის ითვალისწინებს მთხოვნელი გამოცდების ჩაბარებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) დაბადების მოწმობა, ბ) მოწმობა ან ცნობა განათლების შესახებ, გ) სათანადო ცნობა განათლების განყოფილებიდან ან სამსახურის ადგილიდან იმის შესახებ, რომ განმცხადებელი ერთ წელზე მეტია რაც გასულია სკოლიდან საპატიო მიზეზით, დ) დახასიათება სამსახურის ადგილიდან, ე) ავტობიოგრაფია, ვ) ორი ფოტოსურათი.

§ 10. გამოცდებზე ექსტერნად დაშვების საკითხს თითოეული განმცხადებლის შესახებ წყვეტენ განათლების განყოფილებები და მიღებულ გადაწყვეტილებას წერილობით აცნობებენ განმცხადებელს არა უგვიანეს 5 დღისა გამოცდების დაწყებამდე.

§ 11. ექსტერნი, რომელიც გამოცდების დაწყებისას არ გამოცხადდება და ამის შესახებ არა აქვს რაიმე გასამართლებელი საბუთი, კარგავს გამოცდების ჩაბარების უფლებას მოცემულ საგამოცდო პერიოდში.

ექსტერნებს, რომლებიც გამოცდების დაწყებამდე ან გამოცდების პერიოდში ავად გახდნენ და გამოცდების დამთავრებამდე გამოჯანმრთელდნენ, შეუძლიათ მოცემული საგამოცდო პერიოდის განმავლობაში როგორც დარჩენილი, ისე გამოტოვებული, გამოცდების ჩაბარება.

§ 12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 7 ივნისის № 4067—განკარგულების შესაბამისად იმ პირთ, რომლებიც მუშაობენ წარმოებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და დაშვებულნი არიან გამოცდებზე ექსტერნატის წესით, სამუშაო ადგილიდან ეძლევათ ერთჯერადი ან ნაწილ-ნაწილ დამატებითი შვებულებები ხელფასის შენარჩუნებით: ექსტერნებს, რომლებიც აბარებენ რვაწლიანი სკოლის კურსზე—15 სამუშაო დღე; ექსტერნებს, რომლებიც აბარებენ საშუალო განათლების ატესტატზე—20 სამუშაო დღე.

ამავე განკარგულებით ექსტერნები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ამა თუ იმ კლასის კურსზე აბარებენ გამოცდებს, გამოცდისათვის დადგენილ დღეებში თავისუფლდებიან სამუშაოდან, მაგრამ მორიგი შვებულების მიცემის დროს მათ ეს დღეები ეთვლებათ.

§ 13. გამოცდები ექსტერნებისათვის რვაწლიანი სკოლის კურსის ფარგლებში ტარდება შემდეგ საგნებში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში—ზეპირი), ალგებრაში—არითმეტიკით (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი), ისტორიაში (ზეპირი), გეოგრაფიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი), ხაზვაში (წერითი), უცხო ენაში (ზეპირი)—სულ 12 გამოცდა.

გამოცდებზე ხდება ექსტერნების ცოდნა-ჩვევების შემოწმება თითოეულ საგანში რვაწლიანი სკოლის საპროგრამო მოთხოვნათა ფარგლებში.

§ 14. გამოცდები ექსტერნებისათვის საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში (საშუალო განათლების ატესტატზე) ტარდება შემდეგ საგნებში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ლიტარატურაში (არარუსულ სკოლებში—ზეპირი), მათემატიკაში (წერითი), ალგებრაში (ზეპირი), გეომეტრიაში (ზეპირი), ტრიგონომეტრიაში (ზეპირი), სსრკ ისტორიაში (ზეპირი), ახალ ისტორიაში (ზეპირი), სსრკ კონსტიტუციაში (ზეპირი), გეოგრაფიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ასტრონომიაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი), ხაზვაში (წერითი), უცხო ენაში (ზეპირი)—სულ 17 გამოცდა.

გამოცდებზე ხდება ექსტერნების ცოდნა-ჩვევების შემოწმება თითოეულ საგანში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის საპროგრამო მოთხოვნათა ფარგლებში. ის პირნი, რომლებსაც აქვთ დოკუმენტი რვაწლიანი (შვიდწლიანი) სკოლის დამთავრების შესახებ, აბარებენ გამოცდებს IX—XI კლასების საპროგრამო მოთხოვნათა ფარგლებში.

§ 15. გამოცდები ექსტერნებისათვის ამა თუ იმ კლასის კურსის ფარგლებში ტარდება ამ კლასისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში, სახელდობრ:

V კლასში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში—ზეპირი), არითმეტიკაში (ზეპირი). ისტორიაში (ზეპირი), გეოგრაფიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი)—სულ 8 გამოცდა.

VI კლასში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი

და ზეპირი), რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში—ზეპირი), არითმეტიკაში (წერითი), ალგებრაში (ზეპირი), გეომეტრიაში (ზეპირი), ისტორიაში (ზეპირი), გეოგრაფიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი)—სულ 11 გამოცდა.

VII კლასში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში—ზეპირი), ალგებრაში (წერითი და ზეპირი), გეომეტრიაში (ზეპირი), ისტორიაში (ზეპირი), გეოგრაფიაში (ზეპირი), ზოოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი), ხაზვაში (წერითი)—სულ 13 გამოცდა.

IX კლასში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში—ზეპირი), ალგებრაში (წერითი და ზეპირი), გეომეტრიაში (ზეპირი), ტრიგონომეტრიაში (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), მსოფლიო ისტორიაში (ზეპირი), გეოგრაფიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი), ხაზვაში (წერითი)—სულ 14 გამოცდა.

X კლასში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში—ზეპირი), ალგებრაში (წერითი და ზეპირი), გეომეტრიაში (ზეპირი), ტრიგონომეტრიაში (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), მსოფლიო ისტორიაში (ზეპირი), გეოგრაფიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი), ხაზვაში (წერითი)—სულ 15 გამოცდა.

§ 16. წერით გამოცდაზე ექსტერნებს ეძლევათ;

ა) **მშობლიურ ენაში**—შინაარსის გადმოცემა (V, VI, VII, VIII კლასები);

ბ) **არითმეტიკაში**—ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი (VI კლასი);

გ) **ალგებრაში-არითმეტიკით**—ამოცანა ალგებრაში და მაგალითი არითმეტიკიდან (VII და VIII კლასები);

დ) **ხაზვაში**—პროგრამით გათვალისწინებული საშუალო სიძნელის ერთ-ერთი პრაქტიკული სამუშაო (VII და VIII კლასები);

საშუალო სკოლის უფროსი კლასების კურსის ფარგლებში (და საშუალო განათლების ატესტატზე) წერით გამოცდაზე ექსტერნებს ეძლევათ:

ა) **მშობლიურ ლიტერატურაში**—თხზულება ლიტერატურულ თემაზე (თხზულებისათვის ეძლევათ 3 თემა, რომელთაგან ექსტერნი ირჩევს ერთ-ერთს (IX, X, XI კლასები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ალგებრაში—ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი (IX, X კლასები);

გ) მათემატიკაში—ერთი ამოცანა გეომეტრიიდან, რომელიც ტრიგონომეტრიის გამოყენებით ამოიხსნება, და ერთი მაგალითი ალგებრიდან (XI კლასი):

დ) ხაზვაში—ერთ-ერთი სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული მასალიდან (IX, X, XI კლასები);

შენიშვნა: მშობლიურ ლიტერატურაში და მათემატიკაში - წერითი გამოცდები ტარდება, მხოლოდ გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

§ 17. ზეპირი გამოცდები ექსტერნებისათვის ტარდება მასწავლებელთა მიერ შედგენილი და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბილეთებით.

იმ საგნებში, რომლებშიც გამოცდები საერთოა საშუალო სკოლის მოსწავლეებისა და ექსტერნებისათვის, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი ბილეთები.

§ 18. ექსტერნები გამოცდებს აბარებენ მოსწავლეებთან ერთად ამა თუ იმ კლასის კურსზე—მასწავლებლებსა და ასისტენტებს, ხოლო რვაწლიანი და საშუალო სკოლის კურსზე, იმ კომისიებს, რომლებიც სკოლებში იქმნება აღნიშნული კლასებისათვის.

§ 19. თუ ექსტერნი არღვევს გამოცდების ჩატარების დადგენილ წესს, მას უფლება ერთმევა განაგრძოს დაწყებული გამოცდების ჩაბარება მოცემულ საგამოცდო პერიოდში.

§ 20. ექსტერნები, რომლებიც ვერ ჩააბარებენ გამოცდებს ერთს ან რამდენიმე საგანში, განმეორებით დაიშვებიან გამოცდებზე ამ ინსტრუქციის მე-7 პარაგრაფში მოცემულ ვადებში,მაგრამ იმ პირობით, რომ გამოცდის ჩაბარებას არ დასჭირდეს ორ წელზე მეტი დრო.

ექსტერნებს, რომლებიც ვერ ჩააბარებენ ყველა გამოცდას ორი წლის განმავლობაში, არავითარი საბუთი არ ეძლევათ. განათლების შესახებ საბუთის მისაღებად მათ შეუძლიათ ხელახლა ჩააბარონ გამოცდები ყველა საგანში.

§ 21. ექსტერნებს, რომლებმაც ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ ჩააბარეს ყველა გამოცდა რვაწლიანი ან საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, ეძლევათ შესაბამისად ჩვეულებრივი ნიმუშის რვაწლიანი განათლების მოწმობა ან საშუალო განათლების ატესტატი იმის აღნიშვნით, რომ ისინი გამოცდებს ექსტერნად აბარებდნენ, ხოლო იმ ექსტერ-

ნებს, რომლებმაც გამოცდები ჩააბარეს სხვადასხვა კლასის კურსის ფარგლებში ეძლევათ სპეციალური მოწმობა ამა თუ იმ კლასის დამთავრების შესახებ, რომლის საფუძველზე მათ უფლება ეძლევათ სწავლა განაგრძონ საღამოს (ცვლის) სკოლის შემდგომ კლასებში.

§ 22. ის პირნი, რომლებმაც გამოცდები ექსტერნატის წესით წარჩინებით ჩააბარეს, ქების სიგელებით და მედლებით არ ჯილდოვდებიან.

§ 23. იმ პირთა რვა კლასის დამთავრების მოწმობები და საშუალო განათლების ატესტატები, რომლებმაც გამოცდები ექსტერნად ჩააბარეს, ტარდება რვა კლასის დამთავრების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების ჩასაწერ წიგნში აღნიშვნით „ექსტერნი“.

ამა თუ იმ კლასის ექსტერნად დამთავრების მოწმობები ტარდება სკოლის მიერ ამ მიზნისათვის შემოღებულ სპეციალურ ჟურნალში.

§ 24. ექსტერნების მიერ გამოცდებზე შესრულებული ყველა წერითი ნამუშევარი, ბილეთები, რომლებითაც წარმოებდა ზეპირი გამოცდები, ინახება სკოლაში.

§ 25. მონაცემები ექსტერნების გამოცდების შედეგების შესახებ უნდა გაშუქდეს სკოლის წლიურ ანგარიშსა და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებების წლიურ ანგარიშებში.

§ 26. ექსტერნებისათვის გამოცდების ჩატარების სისწორისადმი მკაცრ კონტროლს განახორციელებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებები.

სკოლების სამმართველოს
უფროსი **დ. ჯავახია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

УТВЕРЖДАЮ
Министр просвещения Грузинской ССР
Т. Лашкарашвили
8 марта 1963 года.

ИНСТРУКЦИЯ

о проведении экзаменов для экстернов

§ 1. Экзамены для экстернов проводятся за курс восьмилетней и за курс средней общеобразовательной школы, а также за курс отдельных (V, VI, VII, IX и X) классов общеобразовательной школы.

§ 2. К экзаменам за курс восьмилетней школы в порядке экстерната допускаются подростки в возрасте старше 16 лет, не обучавшиеся в школе или не закончившие её и желающие получить свидетельство об окончании восьмилетней школы.

Примечание. К экзаменам за курс восьмилетней школы в порядке экстерната не допускаются подростки, которым исполнилось 16 лет, но учатся в V, VI и VII классах средней школы.

§ 3. К экзаменам за курс средней школы в порядке экстерната допускаются лица в возрасте старше 18 лет, не обучавшиеся в средней школе или не закончившие её, выбывшие из школы по уважительной причине год тому назад и раньше, но желающие получить среднее образование.

Примечание. К экзаменам за курс средней школы в порядке экстерната не могут быть допущены:

а) лица, которым исполнилось 18 лет, но учатся в общеобразовательных школах или в специальных техникумах и училищах;

б) лица, которые не учатся более года, но в случае допущения к экзаменам они опередят учащихся того класса, в котором учились или должны были учиться.

§ 4. К экзаменам за курс отдельных (V, VI, VII, IX и X) классов допускаются те лица, которые имеют стаж производственной работы не менее двух лет, выбывшие из школы два года тому назад и раньше, но желающие получить свидетельство об окончании того или иного класса.

§ 5. Для проведения экзаменов в порядке экстерната отделы народного образования выделяют общеобразовательные средние школы и их список пересылают на утверждение Министерству просвещения Грузинской ССР не позднее 15-го мая.

§ 6. Экстерны сдают экзамены либо в один срок, либо частями—в несколько сроков, но не более чем в течение двух лет.

Экзамены по частям могут сдавать только те рабочие и служащие, которые имеют производственный стаж не менее двух лет.

§ 7. Лица, сдающие экзамены в один срок, держат их с 30 мая по 25 июня включительно.

Экстерны, имеющие вышеуказанный производственный стаж и сдающие экзамены частями (по отдельным предметам), могут ежегодно держать их в следующие сроки: с 30 мая по 22 июня; с 20 по 31 августа; со 2 по 10 января. При этом, все установленные экзамены экстерны сдают, как правило, в одной и той же школе. При невозможности этого по каким-либо уважительным причинам (перемена местожительства и т. д.) они получают справку с печатью школы за подписью директора, в которой указывается, при какой школе данным лицом сдавались экзамены; время (год и месяц) сдачи экзаменов; по каким предметам и за курс какого класса сдавались экзамены; какие оценки получены по каждому предмету.

На основании этой справки экстерн может сдавать оставшиеся экзамены, и в случае сдачи их, получить соответствующий документ об образовании в другой школе.

§ 8. Лица, имеющие производственный стаж и желающие сдавать экзамены экстерном, подают об этом не позднее как за месяц до начала экзаменев (15 мая, 2 июля, 1 декабря), собственноручно написанное заявление в отделы народного образования.

Примечание. Лица, не имеющие производственного стажа, подают заявление только до 15-го мая.

§ 9. В заявлении указывается: за курс какого класса данное лицо желает сдать экзамены; в один срок или частями будут сдаваться экзамены; если частями, в какие сроки и по каким предметам в каждый из них проситель намечает сдавать экзамены.

К заявлению прилагаются:

а) свидетельство о рождении;

б) свидетельство или справка об образовании;

в) соответствующая справка, выданная отделом народного образования или с места работы, подтверждающая, что заявитель год тому назад или раньше выбыл из школы по уважительной причине;

г) характеристика с места работы;

д) автобиография;

е) две фотокарточки.

§ 10. Вопрос о допущении каждого заявителя к экзаменам в порядке экстерната решают отделы народного образования и о принятом решении сообщают заявителю письменно не позднее чем за 5 дней до начала экзаменов.

§ 11. Экстерн, не явившийся к началу экзаменов и не имеющий об этом оправдательного документа, теряет право на сдачу их в данном экзаменационном периоде.

Экстерны, заболевшие перед началом или в период сдачи экзаменов и выздоровевшие до окончания их, могут сдавать в течение данного экзаменационного периода как все оставшиеся, так и все пропущенные экзамены.

§ 12. В соответствии с распоряжением Совета Министров СССР от 7 июля 1956 г. № 4067—р, лицам работающим на производстве, в учреждениях и организациях и допущенным к экзаменам в порядке экстерната, предоставляются единовременно или частями дополнительные отпуска по месту работы с сохранением заработной платы:

сдающим экзамены за курс восьмилетней школы—на 15 рабочих дней;

сдающим экзамены на аттестат о среднем образовании—на 20 рабочих дней.

Этим же распоряжением экстерны, сдающие экзамены за курс того или иного класса общеобразовательной школы, в дни экзаменов освобождаются от работы, однако эти дни засчитываются в счет очередного отпуска.

§ 13. Экзамены для экстернов за курс восьмилетней школы проводятся по следующим предметам: родному языку и литературному чтению (письменно и устно), русскому языку (в нерусских школах—устно), алгебре с арифметикой (письменно), геометрии (устно), истории (устно), географии (устно), биологии (устно), физике (устно), химии (устно), черчению (письменно), иностранному языку (устно)—всего 12 экзаменов.

На экзаменах проверяются знания, умения и навыки экстернов по каждому предмету в объеме программных требований восьмилетней школы.

§ 14. Экзамены для экстернов за курс средней школы проводятся по следующим предметам: по родному языку и литературе (писменно и устно), по русскому языку (в нерусских школах—устно), по математике (письменно), алгебре (устно), геометрии (устно), тригонометрии (устно), истории СССР (устно), всеобщей истории (устно), Конституции СССР (устно), географии (устно), физике (устно), астрономии (устно), химии (устно), биологии (устно), черчению (письменно), иностранному языку (устно),—всего 17 экзаменов.

На экзаменах проверяются знания, умения и навыки экстернов по каждому предмету в объеме программных требований средней общеобразовательной школы. Лица, имеющие документ об окончании восьмилетней (семилетней) школы, сдают экзамены в объеме программых требований IX—XI классов.

§ 15. Экзамены для экстернов по курсу того или иного класса проводятся по предметам, предусмотренным учебным планом для данного класса, а именно:

в V классе: по родному языку и литературе (письменно и устно), русскому языку (в нерусских школах—устно), арифметике (устно), истории (устно), географии (устно), биологии (устно), иностранному языку (устно)—всего 8 экзаменов;

в VI классе: по родному языку и литературе (письменно и устно), русскому языку (в нерусских школах—устно), арифметике (письменно), алгебре (устно), геометрии (устно), истории (устно), географии (устно), биологии (устно), физике (устно), иностранному языку (устно)—всего 11 экзаменов;

в VII классе: по родному языку и литературе (письменно и устно), русскому языку (в нерусских школах—устно), алгебре (письменно и устно), геометрии (устно), истории (устно), географии (устно),

биологии (устно), физике (устно), химии (устно), иностранному языку (устно), черчению (письменно)—всего 13 экзаменов;

в IX классе: по родному языку и литературе (письменно и устно), русскому языку и литературе (в нерусских школах—устно), алгебре (письменно и устно), геометрии (устно), тригонометрии (устно), истории СССР (устно), всеобщей истории (устно), географии (устно), физике (устно), химии (устно), иностранному языку (устно), черчению (письменно)—всего 14 экзаменов;

в X классе: по родному языку и литературе (письменно и устно), русскому языку (в нерусских школах—устно), алгебре (письменно и устно), геометрии (устно), тригонометрии (устно), истории СССР (устно), всеобщей истории (устно), географии (устно), биологии (устно), физике (устно), химии (устно), иностранному языку (устно), черчению (письменно)—всего 15 экзаменов.

§ 16. На письменных экзаменах экстернам дается:

а) по родному языку—изложение (V, VI, VII, VIII классы);

б) по арифметике—одна задача и один пример (VI классы);

в) по алгебре с арифметикой—задача по алгебре и пример по арифметике (VII и VIII классы);

г) по черчению—одна из предусмотренных программой практических работ средней трудности (VII и VIII классы).

На письменных экзаменах за курс старших классов и за курс средней школы дается:

а) по родному языку и литературе—сочинение на литературную тему (для сочинения даются три темы с предоставлением экстернам права выбора одной из них—IX, X, XI классы);

б) по алгебре—одна задача и один пример (IX, XI классы);

в) по математике—одна геометрическая задача, решаемая с помощью тригонометрии и задача по алгебре (XI класс);

в) по черчению—одна работа из числа предусмотренных программой (IX, X, XI классы).

Примечание. Письменные экзамены по родной литературе и математике проводятся только весной и осенью.

§ 17. Устные экзамены для экстернов проводятся по билетам, составленным учителями данной школы и утверждаемым директором школы.

По тем предметам, по которым экзамены являются общими

для учащихся средней школы и для экстернов, должны быть использованы былеты, составленные Министерством просвещения.

§ 18. Экстерны сдают экзамены вместе с учащимися за курс того или иного класса учителям и ассистентам, а за курс восьмилетней и средней школы тем комиссиям, которые созданы в школах для этих классов.

§ 19. В случае нарушения экзаменующимся экстерном установленного порядка проведения экзаменов, он лишается права продолжать начатые экзамены в данном экзаменационном периоде.

§ 20. Экстерн, не выдержавший экзамена по одному или нескольким предметам, держит экзамены повторно в сроки, указанные в § 7 настоящей инструкции, но с условием, что все установленные экзамены должны быть сданы им не более чем в два года.

Экстерны, не сдавшие всех установленных экзаменов в течение двух лет, не получают от школы никокого документа об образовании. Эти лица для получения документа об образовании могут снова сдавать экзамены по всем установленным предметам.

§ 21. Экстернам, выдержавшим в один или несколько сроков все установленные экзамены за курс восьмилетней или средней школы, по постановлению педагогического совета школы выдается соответственно свидетельство о восьмилетнем образовании или аттестат о среднем образовании обыкновенного образца, с указанием о том, что данное лицо сдавало экзамены экстерном, а тем экстернам, которые сдали экзамены за курс того или иного класса, выдается специальное свидетельство об окончании данного класса, на основании которого они получают право продолжать учебу в последующем классе вечерней (сменной) школы.

§ 22. Награждение похвальными грамотами и медалями лиц, успешно сдавших экзамены в порядке экстерната, не производится.

§ 23. Свидетельства о восьмилетнем образовании, выдаваемые лицам, сдавшим экзамены экстерном, регистрируются в общих книгах, установленных для этой цели в школе, с отметкой „экстерн".

Свидетельства об окончании курса того или иного класса регистрируются в специально заведенном для этой цели журнале.

§ 24. Все письменные работы экстернов, выполненные ими на экзаменах, билеты, по которым проводились устные экзамены, сохраняются в школе.

§ 25. Данные об итогах экзаменов для экстернов освещаются в общем годовом отчете школы и в отчетах Министерств просвещения АССР, отделов народного образования Автономной области, городов республиканского подчинения и районов.

§ 26. Строгий контроль за правильностью проведения экзаменов для экстернов осуществляется Министерством просвещения Грузинской ССР, Министерствами просвещения АССР, отделами народного образования А/О, городов республиканского подчинения и районов.

Начальник Управление школ Д. Джавахия

№ 448
19/VIII 63

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 361—ახალციხის, საჩხერის, ზუგდიდის, ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონებში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 382—ზესტაფონის და მახარაძის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 6
3. ბრძანება № 389—ვ. და თ. კაკიშვილების მამხილებელი წერილის შემოწმების შედეგების შესახებ 12
4. ინსტრუქცია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ საწარმოოსწავლებიან სკოლებში გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესის შესახებ 15
5. Инструкция о порядке проведения выпускных квалификационных испытаний в средних общеобразовательных трудовых политехнических школах с производственным обучением. 23
6. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის შესახებ 31
7. განმარტებითი ბარათი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის სასწავლო გეგმებისათვის 39
8. განმარტებითი ბარათი ხელწერითი სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის პროგრამისათვის 42
9. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერაში 58
10. ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში გამოსაშვები გამოცდების შესახებ. 61
11. ინსტრუქცია გამოცდების ექსტერნად ჩაბარების შესახებ 73
12. Инструкция о проведении экзаменов для экстернов 80

ეროვნული
ბიბლიოთეკა